გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№3 (1029) 14 - 15 იანვარი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ფარული ნაღმები აღრეულ აღზრდაში

გვ. 8

საუნივერსიტეტო ბლეფი №1 ნაციონალებისგან

საკვაშვილი ე.წ. ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან დაკავშირებით ისევ ტყუის — რატომ თქვა უარი ამერიკელმა მხარემ ბათუმში უნივერსიტეტის გახსნაზე



MILLENNIUM CHALLENGE CORPORATION
UNITED STATES OF AMERICA

Daniel W. Yohannes
Chief Executive Officer

November 16, 2011

His Excellency Nika Gilauri
Prime Minister of Georgia
Tbilisi

Dear Mr. Prime Minister:

Thank you for your recent letter and for our telephone call last week. I commend the hard work that the MCC Georgia Core Team has undertaken on Georgia's second compact proposal.

As discussed during our call, MCC management did not approve the higher education project proposal. In particular, there were concerns about the cost of building a new stand-alone higher education institution that would have a limited number of direct beneficiaries, and that the investment would benefit more privileged families rather than poor families.

MCC's Deputy Vice President for Compact Operations, Tom Hurley, will be in Tbilisi later this week to meet with you and your team to discuss alternative investments, which could include an education project that would reach a broader set of beneficiaries, human resource development, and rural infrastructure.

I am certain that MCC's partnership with the Georgian government will only grow stronger as we work together to define a second compact program that addresses Georgia's constraints to growth, benefits a significant portion of the Georgian population, and meets MCC's investment criteria.

Sincerely,

გვ. 3

ძმები „გრეჩიხები“ პოლიტიკაში ბრუნდებიან?

გვ. 5

„სისხლი დაიღვრება!“ — რა მიზნით ქმნის ახალ ორგანიზაციას და ვისთან აწარმოებს მოლაპარაკებას გია კორკოტაშვილი

ბონდო ქურდაძე: „პარიზმა ტერორიზმს სილა გააწნა!“

გვ. 2

რა ვერ გათვალეს ტერორისტებმა და რატომ დასცინის მხარდამჭერებს „შარლი ჰებდოს“ გადარჩენილი კარიკატურისტი

ზონის „გაშავების“ ლეგენდადქცეული ისტორია

გვ. 6

როგორ დააყენა ჩუმად მონათლულმა ქურდმა პალაჭენია მე-16 დანესებულებაში

ეპიმრის დღიური

საქართველოს ეკონომიკური ანექსია თუ კომერციული ინტერესი

გვ. 4

რა მიზანი ამოძრავებს „როსნეფტს“ და რატომ იყიდა რუსულმა ნავთობკომპანიამ კვეზერაშვილის კუთვნილი ტერმინალი ფოთის პორტში?

ბონდო ჟურდაძე: „პარიზმა ტერორიზმს სილა გააწნა!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„მე შარლი ვარ“ — სოლიდარობის ამ ტალღამ მთელ მსოფლიოს გადაუარა და ვნებათაღელვა არც დღეს ჩამცხრალა, რადგან ტერორისტები საფრანგეთს ისევ ემუქრებიან. მოვლენებს პარიზის ეპიცენტრიდან ქართველი ჟურნალისტი, გაზეთ „შანსის“ დამფუძნებელი ბონდო ჟურდაძე აკვირდებოდა, რომელიც დღეს საფრანგეთში პოლიტიკური დევნილის სტატუსით ცხოვრობს. „ვერსიას“ რესპოდენტი პარიზული ტრაგედიის ბევრ საინტერესო დეტალს უამბობს და პარალელს ქართულ მასმედიასთანაც ავლებს.

რა ვერ გათვალეს ტერორისტებმა და რატომ დასცინის მხარდამჭერებს „შარლი ჰებდოს“ გადარჩენილი კარიკატურისტი

— „პარიზმა სილა გააწნა ტერორიზმს“ — ეს დუელში გამოწვევა და, როგორც ბევრი ვარაუდობს, მესამე მსოფლიო ომის ანონსი ხომ არაა?

— მესამე მსოფლიო ომი არ იქნება! ეს ფრაზა საქართველოს ექსპრეზიდენტმა, საუკუნის ავანტიურისტმა სააკაშვილმა რუსეთ-საქართველოს ომის დროს გამოიყენა. მსგავსი სირთულის წინაშე მსოფლიო რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დროსაც დადგა, თუმცა მესამე მსოფლიო ომის დასაწყებად საკმარისი არც აღმოჩნდა. საფრანგეთში მომხდარის შემდეგ პირველი, რაც მთელმა მსოფლიომ დაინახა ისაა, რომ ქვეყანაში რელიგიური ექსტრემიზმის საფუძველი არ არსებობს! ამ ტერაქტის სათავეში მდგომმა ვერ გათვალა, რომ რელიგიურ ექსტრემიზმში იმ ქვეყანას ვერ ჩაითრევ, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ათეისტია!

— თუმცა შარიათის მიმდევართა მხრიდან მუქარა კვლავ ისმის. სისხლიანი სასაკლაოს გაგრძელება იქნება?

— გამორიცხული არაფერია. თუმცა ამ ქვეყანაში არაერთი კულტურისა თუ რელიგიური მიმდინარეობის ადამიანი ცხოვრობს და არავინ არაფერში იზღუდება. ჩემი ფანჯრიდან კათოლიკური ეკლესიის სამრეკლოსა და მუსლიმების რელიგიური რიტუალების ხმა ერთნაირად ისმის. ამ დღეების მთავარი სლოგანმა „მე შარლი ვარ“, მთელი საფრანგეთი აიყოლია. ყველა ამ ერთი, მომცრო ტირაჟისა და საოცრად უგემოვნო კარიკატურული გაზეთის ფანატად იქცა. არადა, ეს გაზეთი ეთიკის დაუწერელ ნორმებს არაფრად აგდებდა, აშარჟებდა ქრისტიანებს, მუსულმანებს, ქვეყნის პრეზიდენტსა და სახელმწიფო მოხელეებს.

— თუმცა ეს არ ნიშნავს მთავარი ღირებულების, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის უფლებას.

— ცხადია, დღეს ამაზე არავინ დავობს. სხვათა შორის, „შარლ ჰებდოს“ ერთ-ერთი გადარჩენილი კარიკატურისტი მხარდაჭერის ამ ტალღას დასცინის — ბერნარდ ჰოლტროპი, რომელიც თავდასხმის დროს ოფისში არ იყო, აცხადებს, რომ მხარდაჭერას ის ადამიანები გამოთქვამენ, რომლებსაც „შარლ ჰებდოს“ არც ერთი ნომერი არ წაუკითხავთ. ჰოლანდიელი ჟურნალისტი აცხადებს: „მოულოდნელად, გამოჩნდნენ ახალი მეგობრები, მათ შორის, რომის პაპი, დედოფალი ელისაბედი და ვლადიმერ პუტინი. გული გვერევა „მოულოდნელ მეგობრებზე“. მხარს გვიჭერენ ისინი, ვისაც არასდროს უნახავს „შარლ ჰებდოს“ არცერთი ნომერი“. პასუხი კითხვაზე, რამ შეაყვარა ერთ დღეში ეს გაზეთი 66 მილიონ ფრანგს, ერთია — სიტყვის თავისუფლების დაკარგვის საფრთხემ! ამიტომ ყვიროდნენ „მე შარლი ვარო“. ამ სიტყვებში რელიგიური ექსტრემიზმი არაა, პარიზმა ასე გააწნა სილა ტერორიზმს!

— მომხდარს საქართველოში არაერთგვაროვნად გამოეხმაურნენ — ვიღაც ფიქრობს, რომ რელიგიურ გრძნობათა შეურაცხყოფა უნდა დაისაჯოს, ვიღაცის აზრით, სიტყვის თავისუფლება რელიგიაზე მაღლაც დგას. სად გადის ზღვარი სიტყვის თავისუფლებასა და შეურაცხყოფას შორის?

— დასამალი არაა, რომ საფრანგეთში სიტყვის თავისუფლება რელიგიაზე მაღლა დგას. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აქ მორწმუნეები არ ცხოვრობენ. ამ ტერაქტმა საფრანგეთი კი არ გახლიჩა, შეკრა ტერორიზმის წინააღმდეგ, რომელიც პარიზსა და ცივილიზებულ სამყაროსთან ომში სასტიკად დამარცხდა! ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, ზღვარი სიტყვის თავისუფლებასა და რელიგიურ შეურაცხყოფას შორის ღვთისმოშიშობაზე გადის, მაგრამ ის არავის დაუდგენია. ეს, ალბათ, ოჯახიდან, ქვეყნის ტრადიციებიდან მოდის. თავისუფლებისთვის ბრძოლა ჩემთვის ყოველთვის საამაყოა! თუმცა სახტად დავრჩი, როცა ჩემი ფოტორეპორტაჟების ქვეშ მწვავე მინაწერები ამოვიკითხე — ზოგი, რელიგიური შეურაცხყოფის გამო, ტერორისტებს ამართლებდა მაშინ, როცა ამას მუსულმანებიც კი გმობენ! მიმაჩნია, რომ ყველა ჟურნალისტს თვითცენზურა უნდა ჰქონდეს — რაზე და როგორ წეროს. თუმცა რაც უნდა მიუღებლად აკეთო შენი საქმე, არავის აქვს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის უფლება!

— მსოფლიო მარშში ქართული დელეგაციის მონაწილეობითა და აქტიურობით კმაყოფილი ხართ?

— რასაკვირველია, სააკაშვილი უკეთ მოახერხებდა მარშზე წინა რიგებში ჩადგომას, ცრემლსაც დაღვრიდა და სახესაც ჩამოიკაწრავდა. ალბათ, რომ შესძლებოდა, ჟურნალისტების სამგლოვიარო პროცესიაშიც მიიღებდა მონაწილეობას და სხვის დასანახად, მათ საფლავშიც ჩაჰყვებოდა. თუმცა საკითხავია, რითაა ჩვენი ექსპრეზიდენტი იმ ტერორისტებზე უკეთესი — თავად არ შეუვარდა ავტომატებით „იმედის“ ჟურნალისტებსა და გამომცემლობა „სამშობლოს“?

— სწორედ ეს მინდა გკითხოთ — ე.წ. სამართლიანობის აღდგენამ, ალბათ, გვერდი ჩაგიარათ, რადგან საქართველოში, ფაქტობრივად, ყველა ხელისუფლების დროს, დევნილი და შევიწროებული იყავით. რა ხდებოდა თქვენს გარშემო 90-იანი წლებიდან მოყოლებული 2012 წლამდე და ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ რა შეიცვალა?

— „სამართლიანობის აღდგენის“ პროცესს ჯერ საერთოდ არ ჩამოუვლია, სადღაც, წიფის გვირაბთანაა გაჩხერილი. თუმცა ფაქტი, რომ დღეს საქართველოში ადამიანებს ძველებურად აღარ იჭერენ, უდავოდ პროგრესის ნიშანია. ხშირად მეკითხებიან, საქართველოში როდის დაბრუნდებიო — მაშინ, როცა სააკაშვილს დააბრუნებენ! ამ ხელისუფლებამაც ასე თუ გააგრძელა, გასაყრელები გახდებიან! ვფიქრობ, ქვეყანას ახალი სისხლი და შემართება სჭირდება, რაღა დროს ბერძენიშვილები და ბურჯანაძეებია! დიდი ხანია დეპოში ვდგავართ. იმით კი ძალიან ვამაყობ, რომ ჩემი კოლეგები ყოველთვის მხარში მედგნენ. თუმცა ყველა ერთად რომ ვმდგარიყავით, როგორც ეს საფრანგეთში მოხდა, სააკაშვილი საქართველოდან კარგა ხნის წინ გაიქცეოდა და არც მე მომიწევდა სამშობლოს იძულებით დატოვება. დღესაც მხოლოდ თავისუფლება გადაგვარჩენს!

უფლებათდამცველთა რა არგუმენტების გამო დაიხია უკან პარლამენტმა

გამომძიებელი დადგენილების გარეშე ველარ გაგვჩხრეკს!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

13 იანვარს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 3-საათიანი სხდომა ექსპერტებისა და უფლებათდამცველების გამარჯვებით დასრულდა — გამომძიებლის მიერ ჩხრეკა-ამოღების დადგენილების გამოტანის ვალდებულება, რომლის გაუქმებასაც პარლამენტი აპირებდა, პირველი მოსმენის შედეგად, ძალაში რჩება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რამდენიმე მუხლში შესატანი ცვლილებების განხილვას პარლამენტში საკმაოდ დიდი წარმომადგენლობა ესწრებოდა — სამართლის ექსპერტი ლევან ალაფიშვილი, ყოფილი პოლიტპატიმარი და უფლებათდამცველი ნანა კაკაბაძე, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი ეკა ფოფხაძე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საპარლამენტო მდივანი თათული თოდუა, „კონსტიტუციის 42-ე“ მუხლის წარმომადგენელი დიმიტრი ხაჩიძე და სხვები.

ძირითად საკითხზე გადასვლამდე, კომიტეტის სხდომაზე საკმაოდ კარგი ინიციატივაც განიხილეს — იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე ბარამიძემ დეპუტატებს „არბიტრაჟის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები გააცნო, რომელთა მიხედვით, სასამართლო ბაჟის ოდენობა მცირდება. კერძოდ, სასამართლოში საარბიტრაჟო წარმოებისთვის დაწესებული 3%-იანი ზღვარი ფიქსირებული 150 ლარით იცვლება. დეპუტატებმა კანონპროექტს მხარი პირველი მოსმენით დაუჭირეს. კიდევ ერთი „საახალწლო საჩუქარი“ იმ მოქალაქეებმა მიიღეს, ვინც მუნიციპალური ტრანსპორტით უბილეთოდ მგზავრობის გამო, 2015 წლის 1 იანვრამდე დაჯარიმდა — „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ კანონში ცვლილების თანახმად, ისინი ჯარიმას აღარ გადაიხდიან. კომიტეტის წევრებს ეს ცვლილებაც ბარამიძემ გააცნო და დააყოლა, რომ მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობაც გაითვალისწინა და სახელმწიფოს სახსრებიც დაზოგა, რადგან უბილეთოდ მგზავრობისთვის 21 185 საქმე ყოფილა აღძრული. აღსრულების კუთხით, სახელმწიფოს თითო საქმე 47 ლარი უჯდება, დაჯარიმებულთა უმეტესობა კი სოციალურად დაუცველი ან პენსიონერია, რაც ჯარიმების ამოღებას ართულებს. მესამე და ძირითად საკითხზე კი პარლამენტი ნაკლები ენთუზიაზმით გადავიდა — დარბაზის ნახევარზე მეტმა სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების გაკრიტიკება ჯერ კიდევ კომიტეტის სხდომის ჩატარებამდე დაიწყო. ამ ცვლილების მომხსენებელი გედევან ფოფხაძე იყო, თუმცა მთელი სხდომის მანძილზე „ჩამჭრელ“ კითხვებს მაინც ეკა ბესელია იგერიებდა. კანონპროექტის ავტორები კი მანანა კობახიძე, დავით საგანელიძე, გედევან ფოფხაძე, ზვიად კვაჭანტირაძე და პაატა კიკნაველიძე იყვნენ, რომელთაგან სხდომას კიკნაველიძე-კობახიძე ესწრებოდნენ. ვიცე-სპიკერი ქალბატონი კი პირველი იყო მათ შორის, ვინც არასამთავრობოთა არგუმენტებს დაეთანხმა და „ხალხის მხარეს“ გადმოვიდა. ცვლილებების ერთ-ერთი ავტორის, გედევან ფოფხაძის განმარტებით, კანონპროექტის მომზადება ტექნიკური ხარვეზის გასწორების გამო გადაწყდა. მისი მოხსენების შემდეგ ყველას დარჩა შთაბეჭდილება, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მეორე პირმა „ტექნიკურ ხარვეზად“ თუ შემაფერხებელ გარემოებად ის დადგენილება მიიჩნია, რაც გამომძიებელმა პირს ჩხრეკის წინ უნდა წარუდგინოს. ფოფხაძის თქმით, ცვლილება 2012 წელს სისხლის სამართლის კოდექსში უკვე შევიდა და დადგენილების წარდგენის საჭიროება მხოლოდ ზოგიერთი მუხლიდან ამოიღეს, რაც კანონის შეუსაბამობას იწვევდა. ფოფხაძემ განაცხადა, ყველამ ვიცით, რომ ეს დადგენილება მაინც ფორმალური აქტია და ბარემ, ამოვიღოთო. გადაუდებელი აუცილებლობისას და იარაღით ხელში ქუჩაში მორბენალი ტერორისტის ჩხრეკისას დადგენილებებს რომ არავინ დაელოდება, ამაზე არც არავინ დავობს, თუმცა რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა სამართალდამცველი სუბიექტურია და გადაწყვიტა, ჩვეულებრივი გამვლელები „აუცილებელი გადაუდებლობის“ გამო უნდა გაჩხრიკოს?! საინტერესო შენიშვნა კომიტეტის წევრებმა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საპარლამენტო მომხსენებლისგანაც მოისმინეს — დადგენილების არსებობა ხომ ჩხრეკის წინ სწორედ იმიტომაა აუცილებელი, მოქალაქეს საკუთარი უფლებები ზედმიწევნით კარგად გაეცნოს. გარდა ამისა, ასეთი დადგენილების გარეშე სასამართლოსაც გაუჭირდება მსჯელობა, მოხდა თუ არა ამა თუ იმ პირის ჩხრეკა კანონდარღვევით. ეს რომ ჩვენი, რიგითი მოქალაქეების უფლებების დაცვას ნამდვილად არ გააუმჯობესებს, ფაქტია. არასამთავრობო სექტორისთვის არ იყო მისაღები, რომ ამ დადგენილების ნაცვლად, გამომძიებელი ადამიანს ზეპირად განუმარტავს, რატომ უნდა გაჩხრიკოს, რაც პირის ინფორმირებული თანხმობის მისაღებად არასაკმარისი შეიძლება აღმოჩნდეს. მართალია, ბესელია-ფოფხაძე სხდომის ბოლომდე ამტკიცებდნენ, არსობრივად არაფერი იცვლებაო, თუმცა ლევან ალაფიშვილის განმარტებით, კანონში დაგეგმილი ეს ცვლილება სწორედ არსობრივია და რიგითი მოქალაქის უფლებებს კიდევ უფრო დაუცველს გახდის. ალაფიშვილი იმითაც დაინტერესდა, რატომ არავისთვისაა ცნობილი იმ პირთა და პროკურორთა პოზიცია, ვისაც ეს ცვლილება სამომავლოდ უშუალოდ შეეხება. ისინი არ აპროტესტებენ დადგენილების არსებობის საჭიროებას და არც ამ იდეის ინიციატორები არიან და თქვენ, კანონმდებლებს რაღა დაგემართათო, იკითხა ლევან ალაფიშვილმა და მასა და გედევან ფოფხაძეს შორის კამათი ცხარე დებატებში გადაიზარდა. თუმცა, საბოლოოდ, როგორც არასამთავრობოებმა შეაფასეს, 13 იანვარს, კომიტეტის სხდომაზე დემოკრატიამ გაიმარჯვა — განხილვის შედეგად, საკითხის ინიციატორებმა 120-ე მუხლი უცვლელად დატოვეს და შესაბამისი ცვლილება უკან გაიწვიეს.

საუნივერსიტეტო ბლეფი №1 ნაციონალისგან

გიორგი იაშვილი

„ე.წ. ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი არ არსებობდა, არ იყო დარეგისტრირებული, როგორც იურიდიული პირი, არ ჰყოლია და არ ჰყავს პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები“, — ასე უპასუხა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრალდებას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოში მძლავრი საგანმანათლებლო კერა გაანადგურა.

შეიძლება გაანადგურო ის, რაც არ არსებობს? — კითხვა რიტორიკული კი არის, მაგრამ მივყვეთ ყოფილი პრეზიდენტის სიცრუის ანატომიას.

2012 წლის სექტემბერში, ე.წ. ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შენობის გახსნისას, სააკაშვილი რიხით ამბობდა, რომ საქართველო თანამედროვე ტექნოლოგიებში მოწინავე ქვეყანა გახდებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სასწავლო დაწესებულებას იმ დროისთვის არც აკრედიტაცია ჰქონდა, არც ავტორიზაცია, არც მატერიალური ბაზა, საუბარი ზედმეტია პროფესორ-მასწავლებლებზე.

საქმე ის არის, რომ სანაპიროზე მდგარი შენობა, რომელიც გარდა იმისა, რომ სასწავლო პროცესისთვის გამოუდეგარია, არც იყო მოაზრებული, როგორც საუნივერსიტეტო ნაგებობა. 2011 წელს მთავრობის მეთაურის გადაწყვეტილებით, ბათუმში უნდა აშენებულიყო ბიზნესცენტრი და ამ მიზნით რკინიგზის შვილობილ კომპანიას 20 მილიონი ლარი გადაერიცხა. მოგვიანებით, ბიზნესცენტრი სააკაშვილმა ბათუმის ტექნოლიოგიური უნივერსიტეტის შენობად შერაცხა და მშენებლობის დასრულებისთვის საჭირო თანხის მისაღებად მოლაპარაკებები „ათასწლეულის გამოწვევის კორპარაციასთან“ დაიწყო. არაერთხელ მოგვისმენია ყოფილი პრეზიდენტისგან განცხადება, რომ შენობა სწორედ ამერიკული ფულით არის აშენებული და ეს 12 იანვარს, „რუსთავი 2“-ზე, ნახევარსაათიან მონოლოგშიც გაიმეორა. თუმცა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეს არის აბსოლუტური ტყუილი.

როგორც ჩვენ მიერ მოპოვებული დოკუმენტით ირკვევა, ამერიკულმა მხარემ საქართველოს მთავრობას ბათუმში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ასაშენებლად თანხის გამოყოფაზე ჯერ კიდეც 2011 წლის ნოემბერში უთხრა უარი. წერილში, რომელსაც „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ წარმომადგენელი დანელი იოჰანესი საქართველოს იმდროინდელ პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს უგზავნის, აღნიშნულია, რომ კორპორაცია ბათუმში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იდეას მხარს არ უჭერს. საინტერესოა მიზეზებიც — დონორებს წუხდნენ მშენებლობის ღირებულების გამო; ასევე ამერიკული მხარე ვარაუდობდა, რომ ამ უნივერსიტეტში სწავლა ხელმისაწვდომი იქნებოდა არა გაჭირვებული, არამედ ისედაც შეძლებული ოჯახისშვილებისთვის.

უფრო კონკრეტულად კი, აი, რას წერს, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი“ საკუთარ ვებ გვერდზე: **„წინა მთავრობის მიერ, აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისადმი წარდგენილი იყო იდეა ბათუმში ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შექმნის შესახებ. 2011 წლის ნოემბერში ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ შეატყობინა საქართველოს მთავრობას, რომ კორპორაციამ არ დაამტკიცა საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი უმაღლესი განათლების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ბათუმში ახალი უნივერსიტეტის გახსნას. კონრეტულად კი, წარმოიშვა შეკითხვები ახალი, ცალკე მდგომი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აშენებისთვის საჭირო ხარჯების რენტაბელობის შესახებ, რომელსაც პირდაპირი ბენეფიციარების შეზღუდული რაოდენობა ეყოლებოდა და შედეგად პროექტით ისარგებლებდნენ მხოლოდ მეტად პრივილეგირებული და არა მცირე შემოსავლის მქონე ოჯახები. მოლაპარაკებების შედეგად და ხარჯების, სარგებლის და ბენეფიციარების ეკონომიკური ანალიზის გავლის შემდგომ გადაწყდა, რომ აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისთვის ბათუმში ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის იდეა არ იყო მისაღები და შესაბამისად არ მოხდა მისი კომპაქტში გათვალისწინება“.**

როგორც ჩანს, ჯერ კიდევ 2011 წელს იყო ნათელი, რომ ამერიკული მხარე არ აპირებდა ამ პროექტის დაფინანსებას. ნუთუ ეს არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისთვის, რომ ვთქვათ, სააკაშვილი ისევ და ისევ ტყუის და ცდილობს, ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს დონორთან ურთიერთობა გაუფუჭოს ქვეყნის ხელისუფლებას...

მიუხედავად, ფონდის გადაწყვეტილებისა, სააკაშვილმა არ გადაუხვია ჩვეულ გზას და საკუთარი ახირების ბოლომდე შესასრულებლად საქართველოს რეგიონებისთვის განკუთვნილი 40 მილიონი ლარი გადაურიცხა ე.წ. ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებელ შპს-ს.

ჯამში, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ ამ შენობისთვის 78 მილიონი ლარი გადაიხადა, აქედან 5 მილიონი დავალიანებაა. დასკვნებში, რომელთა გასაკეთებლად სხვადასხვა დროს მოწვეულები იყვნენ სამხარაულის ექსპერტები და ასევე ლიტველი სპეციალისტები, პირდაპირ არის მითითებული, რომ შენობა არ იძლევა საგანმანათლებლო დაწესებულების განთავსების შესაძლებლობას — არ არის დერეფნული სისტემა, გაუმართავია ვენტილაცია, შეუძლებელია სასწავლო ლაბორატორიების განთავსება. წარმოიდგინეთ, რომ ამ შენობის შესანახად სახელმწიფოს ნახევარ მილიონ ლარზე მეტის გადახდა უწევს ყოველწლიურად (საუბარია მხოლოდ ელექტროენერგიაზე).

სააკაშვილი ე.წ. ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან დაკავშირებით ისევ იტყუება — რატომ თქვა უარი ამერიკულმა მხარემ ბათუმში უნივერსიტეტის გახსნაზე



MILLENNIUM CHALLENGE CORPORATION
UNITED STATES OF AMERICA

Daniel W. Yohannes
Chief Executive Officer

November 16, 2011

His Excellency Nika Gilauri
Prime Minister of Georgia
Tbilisi

Dear Mr. Prime Minister:

Thank you for your recent letter and for our telephone call last week. I commend the hard work that the MCC Georgia Core Team has undertaken on Georgia's second compact proposal.

As discussed during our call, MCC management did not approve the higher education project proposal. In particular, there were concerns about the cost of building a new stand-alone higher education institution that would have a limited number of direct beneficiaries, and that the investment would benefit more privileged families rather than poor families.

MCC's Deputy Vice President for Compact Operations, Tom Hurley, will be in Tbilisi later this week to meet with you and your team to discuss alternative investments, which could include an education project that would reach a broader set of beneficiaries, human resource development, and rural infrastructure.

I am certain that MCC's partnership with the Georgian government will only grow stronger as we work together to define a second compact program that addresses Georgia's constraints to growth, benefits a significant portion of the Georgian population, and meets MCC's investment criteria.

Sincerely,

Daniel Yohannes

კიდევ ერთი რამ, რაც ნაკლებად უნდა გვიკვირდეს სააკაშვილის შოუმენობის გათვალისწინებით, 2012 წლის სექტემბერში, როცა სააკაშვილმა ე.წ. უნივერსიტეტი გახსნა, ბათუმში ლაბორატორიები ჩაიტანეს საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან, მათ შორის, თსუ-დან, ტექნიკური უნივერსიტეტიდან და ა.შ. 1500-მდე სტუდენტი კი ბათუმიდან, თბილისიდან, ზუგდიდიდან და სხვა ქალაქებიდან შეკრიბეს.

ვისთვის სჭირდებოდა ეს ყველაფერი სააკაშვილს? რატომ ატყუებდა საკუთარ მოსახლეობას და პარტნიორებს სხვა კონტინტენტიდან? რატომ აყენებს შეურაცხყოფას ამერიკელ პარტნიორებს, რომ თურმე მათ საქართველოში ნიჭიერი ქართველების დარჩენა, ანუ ინტელექტუალური რესურსის განვითარება არ სურთ? რა არის ეს? პროდასავლური განწყობის შესუსტების მცდელობა, თუ მორიგი ქსენოფობიური გამონათქვამი?! იმ ნახევარსაათიან მონოლოგში, სადაც „რუსთავი 2“-ზე წამყვანიც თავად იყო, პროდიუსერიც და რედაქტორიც, ჩინელთა დამამცირებელი განცხადებაც გააკეთა, რომელიც სამოქალაქო აქტივისტებმა მხოლოდ აცებოოკ-ში შეიმჩნიეს და არც ერთი განცხადება არ გვინახავს... ერთხელ თქვა „ზანგებიო“, მერე მონღოლოდიურ რასას მისწვდა, ახლა, როგორც ჩანს, ჩინელები ამოიღო მიზანში. ეს არის დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი ადამიანი? სამწუხაროდ, სანუგეშოს ვერაფერს ვიტყვით.

და მაინც, რატომ ამახვილებს ყურადღებას ასე მძაფრად სააკაშვილი ე.წ. ტექნოლოგიურ უნივერსიტეტზე? პასუხს ისევ და ისევ პოლიტიკურ ამბიციებთან და შურისძიებასთან მივყავართ. გახსოვთ ალბათ 2011 წლის 7 ოქტომბერს გამოქვეყნებული ბიძინა ივანიშვილის პირველი წერილი, სადაც სხვა ყველაფერთან ერთად, ის ტექნოლიგიური უნივერსიტეტის იდეაზე საუბრობდა. წერილიდან ირკვევა, რომ ასეთი ტიპის დაწესებულების ასაშენებლად მოლაპარაკებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, გიორგი ხუბუასთან ჯერ კიდევ 2008 წელს დაიწყო. ჩვენივე ინფორმაციით, სამშენებლო სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება და საქართველოს ნამდვილად ექნება თანამედროვე ტიპის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი.

რაც შეეხება „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას“, 2013 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის მხარდასაჭერად, ამერიკულმა მხარემ 140 მილიონი დოლარი გამოყო, რომელიც მოხმარდება, როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას.

მთავარი შედეგი კი ის არის, რომ თბილისის სახელმწიფო, ტექნიკურ და ილიას უნივერსიტეტებში ამერიკული უნივერსიტეტების პროგრამები დაინერგება და საქართველოში, ამერიკულ და ევროპულ ფასებთან შედარებით, ხელმისაწვდომ ფასად შესაძლებელი იქნება, უმაღლესი ხარისხის განათლების მიღება, რაც ასე სჭირდება ქვეყანას.

ვერსიანიუსი

დევნილები თბილისში ახლადაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელ ფართს მიიღებენ

დევნილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა, თბილისში ახლადაშენებულ კორპუსებში დევნილებისათვის ბინების გადაცემის თემაზე, ბრიფინგი გამართა.

პირველად, 21-წლიანი დევნილობის შემდეგ, იძულებით გადაადგილებულ პირებს საშუალება ეძლევათ, თბილისში ახლადაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართები მიიღონ.

საბიუჯეტი ასიგნებების ფარგლებში, სამინისტრომ ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“ 598 ბინა გამოისყიდა, რომლებსაც დევნილებს საკუთრებაში გადასცემს.

14 იანვრიდან, სამინისტრო ოფიციალურად აცხადებს აპლიკაციების მიღებას აღნიშნულ ბინებში განსახლების მსურველი დევნილებისათვის. განაცხადების მიღება 2015 წლის 31 მარტამდე გაგრძელდება და დევნილ ოჯახებს ბინები 2015 წლის აგვისტოში გადაეცემათ. გარდა ამისა, სამინისტრო ახორციელებს მენაშენეებისგან ბინების გამოსყიდვის პროექტს.

მენაშენეებისგან ბინების გამოსყიდვის პირველი კონკურსის შედეგები 29 დეკემბერს გამოცხადდა. კონკურსში გამარჯვებული კომპანიისაგან „სახლი დიღომში“ სამინისტრომ 4 ბინა შეისყიდა, აქედან ერთი სამოთახიანი და სამი ოთხოთახიანი. აღნიშნულ საცხოვრებელ ფართებზე, სამინისტრო ასევე აცხადებს აპლიკაციების მიღებას და კრიტერიუმების შესაბამისად, ბინის მეპატრონეები მრავალსულიანი დევნილი ოჯახები გახდებიან.

თბილისში დევნილებისათვის ბინების გადაცემის პროცესი უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. 31 იანვარს გამოვლინდება მენაშენეების კონკურსის მე-2 ეტაპის გამარჯვებული სამშენებლო კომპანია. ეს ნათელი მაგალითია იმისა, რომ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პრობლემა სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება.

„პირველი“



შსს-მ კიბერდანაშაულის ფაქტზე ერთი პირი ამხილა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, კიბერდანაშაულის ჩადენის ფაქტზე ამხილეს ქალაქ რუსთავში მცხოვრები, 1992 წელს დაბადებული დავით შ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დავით შ-მ სხვადასხვა დროს, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, უკანონოდ შეაღწია და ცრუ ინფორმაცია განათავსა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის და ასევე საინფორმაციო სააგენტო „სამოქალაქო პრესის“ ვებ-გვერდებზე – http://szs.gov.ge, http://moa.gov.ge, http://cp.ge.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ აღნიშნულმა პიროვნებამ უკანონოდ შეაღწია: droni.ge-ს, news.ge-ს, newpress.ge-ს, guria.gov.ge-ს, dea.ge-ს და ipn.ge-ს ვებ-გვერდებზე.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დავით შ-ს საცხოვრებელი სახლიდან კომპიუტერული ტექნიკა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის და კომპიუტერული მონაცემების ხელყოფის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 284-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 286-ე მუხლის მე-2 ნაწილით). გამოძიებას შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

„იმედია, საქართველოში მეტი ესტონური ინვესტიცია შემოვა“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ხელს შეუწყობს საქართველოსა და ესტონეთს შორის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის პოტენციალის სრულად ათვისებას: **„ესტონეთი, საქართველოს მსგავსად, დიდი ქვეყანა არ არის, მაგრამ მან ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწია. ესტონეთი გამოირჩევა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვითა და ინოვაციების კუთხით. ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ ასეთი დინამიკური ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას. სასიხარულოა, რომ ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციას უკვე ახორციელებს ერთ-ერთი მოწინავე ესტონური კომპანია. მომავალში, იმედია, სხვა ესტონური კომპანიებიც დაინტერესდებიან საქართველოს შესაძლებლობებით და უფრო მეტი ესტონური ინვესტიცია შემოვა“.**

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობა მზადაა, დაიტერესებულ ინვესტორებს საქართველოში ბიზნესის საწარმოებლად მაქსიმალურად კომფორტული პირობები შესთავაზოს.

ესტონეთის პრემიერ-მინისტრის, ტაავი რიივასის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში, 13 იანვარს დასრულდა. ესტონელი კოლეგა თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გააცილა. ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში, ესტონეთისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრებს შორის პირისპირ შეხვედრა და გაფართოებული ფორმატის მოლაპარაკებები შედგა; გაიმართა ქართულ-ესტონური ბიზნესფორუმი. პრემიერ-მინისტრები, ქართულ-ესტონური ძალისხმევით, ციფრულ ფორმატში აღდგენილი ფილმის – „ნატვრის ხე“ პრეზენტაციას დაესწრნენ.

„ვერსიანიუსი“

საქართველოს ეკონომიკური ანექსია თუ კომერციული ინტერესი

რა მიზანი ამოძრავებს „როსნეფტს“ და რატომ იყიდა რუსულმა ნავთობკომპანიამ კეზერაშვილის კუთვნილი ტერმინალი ფოთის პორტში?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რუსეთის სახელმწიფო ნავთობმომპოვებელმა კომპანია „როსნეფტმა“, ბიზნესმენ დავით იაკობაშვილის კუთვნილ კომპანია Petrocas Energy Limited-ში, 49%-იანი წილი შეიძინა. დავით იაკობაშვილი კომპანია „ჩელენჯ ენერჯის“ აქციონერია, რომელიც ფოთის პორტის ნავთობტერმინალის ოპერირებას ახორციელებს. რუსული სააგენტო „ინტერფაქსის“ ცნობით, ფინანსური გარიგების მოცულობა არ ხმაურდება, თუმცა დავით იაკობაშვილი Petrocas Energy Limited-ში საკონტროლო პაკეტს ინარჩუნებს. ამ გარიგების შესახებ ინფორმაცია „როსნეფტის“ ვებ-გვერდზეც გავრცელდება, სადაც ნათქვამია, რომ ეს ორი კომპანია ერთობლივ საწარმოს ქმნის, რომელიც ლოგისტიკისა და საცალო გაყიდვების სფეროში იმუშავებს. „როსნეფტის“ ხელმძღვანელის, იგორ სეჩინის შეფასებით, გარიგება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამით ნავთობპროდუქტის მიწოდება გაიზრდება. მისი თქმით, აღნიშნული ფინანსური გარიგება და პარტნიორობა რეგიონის ენერგოუსაფრთხოებაში საკვანძო როლს შეასრულებს. დავით იაკობაშვილის განცხადებით, ამ გარიგებით ჩანს, რომ Petrocas რეგიონში მნიშვნელოვანი მოთამაშეა.

რას წარმოადგენს Petrocas Energy?

„როსნეფტის“ ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, Petrocas Energy სამხრეთ კავკასიის რეგიონში ლოგისტიკის სეგმენტის მსხვილი მოთამაშეა. კომპანია მსხვილი ტრეიდერია, რომელიც ნევთობპროდუქტებით ვაჭრობს. Petrocas Energy ფლობს და მართავს მაღალტექნოლოგიურ ნავთობტერმინალებს ფოთში, კასპიისა და შავი ზღვის რეგიონში კი ლოგისტიკურ ოპერაციებს ახორციელებს. კომპანია საქართველოში ფლობს „გალფ ჯორჯიას“, რომელიც ნავთობპროდუქტების დისტრიბუტორია.

Petrocas Energy-ის შტაბ-ბინა კვიპროსზე მდებარეობს, მაგრამ ლიმასოლის, თბილისისა და მოსკოვის ოფისების საშუალებით ოპერირებს. „როსნეფტსა“ და ფოთის ნავთობტერმინალების ოპერატორი კომპანია „ჩენელ ენერჯი ლიმიტედს“ (კომპანიის აქციონერია დავით იაკობაშვილი) შორის, მოლაპარაკებების პროცესი 2014 წლის მარტიდან დაიწყო.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, „ჩენელ ენერჯი (ფოთი) ლიმითედის“ აქციების 75%-ს, „ჩენელ ენერჯი (ერა) ლიმიტედი“ ფლობს, ხოლო 25%-ს — სააქციო საზოგადოება „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“. „ჩენელ ენერჯი ლიმითედი“ ფოთის ნავსადგურის ნავთობტერმინალის ოპერატორია, „ჩენელ ენერჯი ფოთი“ კი — შპს „ფოთი ტერმინალ ჰოლდინგში“ 32.67%-იან წილს ფლობს. დავით იაკობაშვილის საკუთრებაშია ასევე „ჩენელ ენერჯისთან“ დაკავშირებული კომპანია Future Products Company, რომელსაც სეიშელის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია ფლობს.

ბოლო წლებში, რუსეთის სახელმწიფო ნავთობმომპოვებელი კომპანია „როსნეფტი“, სამხრეთ კავკასიის რეგიონში გააქტიურდა. 2013 წელს, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ბაქოში ვიზიტისას, „როსნეფტმა“ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია „სოკართან“, რომელიც საქართველოშიც ოპერირებს. რაც მთავარია, „ამერიკის ხმის“ ინფორმაციით, „როსნეფტი“, რომელმაც 2009 წელს აფხაზეთის მთავრობისგან მიიღო ნებართვა, შავი ზღვის შელფის აფხაზეთის მონაკვეთზე საქმიანობს. თუმცა, „როსნეფტის“ გარდა, შავი ზღვის შელფში ნავთობმოპოვებით სამუშაოებს უკრაინა და თურქეთიც აწარმოებენ.

ფოთის პორტისა და ტერმინალების გასხვისების ისტორია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, **გიორგი კვირიკაშვილის** განმარტებით, „როსნეფტსა“ და Petrocas Energy Limited-ს შორის, ფინანსური ტრანზაქცია ოფშორულ ანგარიშზე განხორციელდა. მინისტრის განცხადებით, Petrocas წინა ხელისუფლების „ჯიბის კომპანია“ იყო: **„ბრალს გვდებენ, რომ ჩვენ რუსულ კომპანიებზე ვყიდით გარკვეულ ქონებას, სინამდვილეში, ნათლად ჩანს, ვინ ყიდის რუსეთის სანქცირებულ კომპანიებზე საქართველოს ქონებას. ყველამ იცოდა, რომ ეს იყო კეზერაშვილისა და სააკაშვილის კომპანია, მეტიც, უამრავი ბრალდება იყო ამ კომპანიის მიმართ ქონების წართმევის თაობაზე. რამდენადაც ვიცი, სასამართლოშიც არის საქმე აღძრული“.**

„ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, **რომან გოცირიძის** განცხადებით, „როსნეფტი“ ვლადიმერ პუტინის უმთავრესი ეკონომიკური იარაღია, რომელსაც დასავლეთმა სანქციაც კი დაუწესა. ექსპერტი ამბობს, რომ რუსეთი საქართველოს ეკონომიკური მომწყვდევის სომხურ სცენარს ახორციელებს: **„ფოთის პორტის ხელში ჩაგდების შემდეგ, მორიგი ნაბიჯი აფხაზეთის რკინიგზის გახსნა იქნება. საქართველოს ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას, რომ ეს გარიგება ბოლომდე მივიდეს. ამის იურიდიული საბაბი არსებობს, რადგან აფხაზეთის მთავრობის ლიცენზიის საფუძველზე, „როსნეფტი“ შავი ზღვის შელფში უკანონოდ აწარმოებს ნავთობის მოპოვების საძიებო სამუშაოებს. რაც შეეხება იაკობაშვილს, როგორი გაიძვერაც იყო, ისეთივე დარჩა“.**

ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე აცხადებს, რომ ფოთის პორტის ის ტერმინალი, რომელიც „როსნფეტმა“ დავით იაკობაშვილისგან იყიდა, თავის დროზე, თამაზ ნიჟარაძეს ეკუთვნოდა. 1991 წელს, თამაზ ნიჟარაძემ ფოთის პორტში ტერიტორია შეიძინა, კომპანია შექმნა და ტერმინალი ააშენა. ხაჭაპურიძის განცხადებით, 2010 წელს, დავით კეზერაშვილმა თამაზ ნიჟარაძეს ფინანსური პოლიცია შეუსია და დააპატიმრა კიდეც. მუქარისა და ფიზიკური განადგურების მცდელობის შემდეგ, ნიჟარაძე აიძულეს, მთელი ქონება კეზერაშვილის კომპანიების სახელზე გადაეფორმებინა. 2012 წელს, ხელისუფლების შეცვლისთანავე, დაზარალებულმა პროკურატურას მიმართა და სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ადვოკატი ამბობს, რომ გასაჩივრებამ შედეგი გამოიღო, რადგან ქონება დააყადაღეს, მაგრამ დაახლოებით ერთი თვის წინ, სასამართლომ ყადაღა ისევ მოხსნა.

კეზერაშვილ-იაკობაშვილისა და ახლა უკვე რუსული „როსნეფტის“ პარალელურად, ფოთის პორტს დანიური „აი პი ემ ტერმინალსიც“ ფლობს. თუმცა დანიურ კომპანიამდე, ფოთში არაბული „რაკიინ ინვესტმენტი“ ოპერირებდა. ფოთის პორტის 51%-იანი წილი, 49-წლიანი მართვის უფლებით, არაბულ „რაკიინ ინვესტმენტს“ 2008 წლის აპრილში გადაეცა. მოგვიანებით კომპანიამ აქციათა 49%-იც შეისყიდა. „რაკიას“ ფოთის პორტი გარკვეული ვალდებულებებით გადასცეს, ამ ვალდებულებებში ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (თიზ) მოწყობაც იყო გათვალისწინებული.

ფოთის საზღვაო ნავსადგურის განვითარებაში, არაბულმა კომპანიამ 2008 წლიდან სერიოზული ინვესტიციები განახორციელა. გაიზარდა საწარმოო სიმძლავრეები, აშენდა ახალი ნავმისადგომი, ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფოთის განვითარების ზონაში, ახალი პორტის პროექტზეც მუშაობდნენ. ამ სამუშაოების მიუხედავად, ფოთის პორტის აქციების გასხვისება დღის წესრიგში მაინც დადგა და „რაკ ჯორჯიამ“, მისი კუთვნილი აქციები 2011 წლის გაზაფხულზე გაყიდა. ფოთის საზღვაო ნავსადგურის აქციათა 80%, კომპანია დანიურმა კომპანია „აი პი ემ ტერმინალსმა“ შეიძინა, რომელიც ამერიკული Maersk-ის შვილობილია. „აი პი ემ ტერმინალსი“ მსოფლიოს პორტების ერთ-ერთი, ყველაზე მსხვილი ოპერატორია. დანიური კომპანია მსოფლიოს 33 ქვეყანაში, 44 პორტს ფლობს.

მართალია, „რაკიამ“ ფოთის პორტის აქციების 80% გაყიდა, მაგრამ ფოთის ინდუსტრიული ზონის მმართველად მაინც დარჩა. ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი ემზარ ჯგერენაია „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებდა, რომ არაბულ „რაკიას“ პორტების მართვის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა და ამიტომ, იძულებული გახდა, აქციები გაეყიდა.

ფოთის პორტში 15 ტერმინალია, „როსნეფტმა“ პირველი, ანუ ნავთობპროდუქტების ტერმინალი შეიძინა. პორტის რამდენიმე ტერმინალს ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის საკუთრებაში არსებული კომპანიები „პრომეტკო ჯორჯია“ და „ჯეესკო“ ფლობდნენ. სხვათა შორის, ვანო ჩხარტიშვილს სწორედ ამ კომპანიების გამო ედავება თურქი ბიზნესმენი, ომერ სარი. ფოთის პორტის ოთხი ტერმინალი ბიზნესმენ იოსებ დოლიძის საკუთრებაშია, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას კარის მეზობელია ნიუ-იორკში.

დასასრული მე-6 გვერდზე

ძმები „გრეჩიხები“ პოლიტიკაში ბრუნდებიან?

„სისხლი დაიღვრება!“ — რა მიზნით ქმნის ახალ ორგანიზაციას და ვისთან აწარმოებს მოლაპარაკებას გია კორკოტაშვილი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ორგანიზაციების — „გახდი მოქალაქე“, „სამოქალაქო სოლიდარობა“ და „სახალხო პატრული“ შემდეგ, მომღერალი გია კორკოტაშვილი კიდევ ერთ ორგანიზაციას ქმნის, რომელსაც ან „ალტერნატიულ მოძრაობას“ დაარქმევს, ან „გაბრაზებულ მოქალაქეს“. ამ ახალ ორგანიზაციას, რომლის სლოგანიც ერთობ ორიგინალურია — „აბა, ჰე და აბა, ჰო“, ორი მიზანი ექნება: ნაცების პოლიტიკური ველიდან გაძევება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. „კორკოტამ“ ჯერ ბოლომდე არც იცის, ამ საქმეში ვინ დაეხმარება, მაგრამ მის თანამოაზრეთა სავარაუდო ჩამონათვალი ასეთია: ვეტერანთა კავშირი, შვილმკვდარი მამები (ვაზაგაშვილი, რობაქიძე) და შესაძლოა, მონატრებული ძმები „გრეჩიხები“. რუსეთუმეს იარლიყი არ მაშინებსო, ამბობს გია კორკოტაშვილი, ამიტომაც ნაახალწლევს, შოკოლადის ევროიანები მივართვი და პირდაპირ ვკითხე, გაცვლის თუ არა ევროს რუბლზე:

— ეს კლიშე — რუსეთემეობა, ნაციონალურმა მოძრაობამ დანერგა. „უდიპლომო სასიძოში“ მექანიკური საფრთხობელა რომაა, აი, მაგას იყენებენ, როცა ვინმესთვის რუსეთუმეობის მიწერა სურთ, თუმცა მეთოდები დაუძველდათ! არაფერზე უკანდამხევი არ ვარ, არც იმ ტალახზე, რომელსაც ისინი მესვრიან. თავიდანვე ვამბობ, რამდენიმე პარტია, არასამთავრობო თუ პიროვნება ორი მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო ვერთიანდებით, თორემ ქვეყნის მართვაზე ყველას სხვადასხვა შეხედულება გვაქვს. ჩვენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ნაციონალების პოლიტიკური არენიდან „გატანის“ იდეა გვაერთიანებს.

— სახელისუფლო ბერკეტი არ გაქვთ და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში წვლილის შეტანას როგორ აპირებთ?

— რაც უნდა მოხდეს, რუსეთთან დიალოგი უნდა აღდგეს. გნებავთ, ამას დიპლომატიური ურთიერთობა დავარქვათ. სახალხო დიპლომატია უნდა გააქტიურდეს, რუსეთი უნდა დავარწმუნოთ, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო მისთვის არაფერია და დაგვიბრუნოს. ეს აქამდე იმიტომ ვერ ხერხდებოდა, სააკაშვილი პუტინს ლილიპუტინს ეძახდა.

— „ოცნება“ ხომ არ ეძახის და პუტინი ჩვენს მიწებს რატომ არ გვიბრუნებს?

— სამაგიეროდ, ალასანია ამბობდა, ნატო-ს ბაზები უნდა აშენდეს საქართველოშიო.

— უნდა, აშენდეს, აბა, რა, ევრაზიულ კავშირში შევიდეთ?

— ე.ი. რადგან ნატო-სა და ევროკავშირში არ მივდივართ, ევრაზიულ კავშირში უნდა წავიდეთ? თქვენ რას მთავაზობთ — აქ ბაზები გავაკეთოთ და მერე რუსეთის ბომბებს დაველოდოთ? „ამერიკისტები“ რომ ხართ, რა მოვიგეთ?

— ამიტომ ახლა ვცადოთ და რუსეთუმეები გავხდეთ?

— არა, ძმაო, მაგრამ იმის გამო, რომ აშშ-ს ვასიამოვნოთ, რუსეთს ჯოხი არ უნდა ვუჩიჩხინოთ!

— გვთავაზობთ, ბაბაია დავუძახოთ?

— ჰოდა, ნუ დაუძახებთ ბაბაიას, დაქოქავს ტანკებს და დაგვიმთავრებს ლაპარაკს!

— სადაა გამოსავალი?

— დიალოგში, რომლის აღდგენაც შესაძლებელია. ამ მდგომარეობიდან როგორმე უნდა გამოვძვრეთ. თუ აშშ-სკენ წავალთ, რუსები ჩაგვტორავენ!

— თუ რუსეთისკენ წავალთ, რუსები მაინც ჩაგვტორავენ!

— აბა, რა! ამიტომ სწორი ტაქტიკა და დიპლომატიაა საჭირო. ჩვენთვის მთავარი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა და, თუ ამაში რუსეთი დამეხმარება, საერთო ენას მასთან მოვძებნი, თუ ბანგლადეში — ბანგლადეშთან. ნაციონალური მოძრაობა კი, ყველას, ვინც მსგავს რამეს ამბობს, რუსეთუმეს „კლეიმოს“ მიათითხნის. ცეერუს ჩინიან ნაციონალებზე დიდი რუსეთუმე, ნეტავ, ვინ არის?! ტერიტორიების დაბრუნებაში აშშ თუ დაგვეხმარება, მის წინააღმდეგ ხომ არ წავალ?! ბევრი სიკეთე აქვს ჩვენთვის შტატებს გაკეთებული, მათ შორის, ფინანსური, მაგრამ ბევრი რამაა ჩემთვის მენტალურად მიუღებელი. ბევრი ისეთი რამეც არსებობს, რაც რუსეთს შეუძლია გაგვიკეთოს.

— ტრადიციულმა, ერთმმორწმუნე რუსეთმა ოკუპაციაზე მეტი რაღა უნდა გაგვიკეთოს?

— რაზეც ტაშია დასაკრავი, გინდ აშშ იყოს, გინდ რუსეთი, იქ ტაშიც უნდა დავუკრათ. ნაციონალების სიტყვაზე არავინ გაივლის.

— იცით, რა ვერ გავიგე — ისევ ნაციონალების ოპოზიციაში რატომ ხართ და ისე ლაპარაკობთ, თითქოს ხელისუფლებაში ისევ ისინი არიან?

— არაა ასე. ნაციონალური მოძრაობა მკვდარი სხეული იყო, რომელსაც ხელოვნური სუნთქვა „ოცნებამ“ ჩაუტარა. ოპონენტებადაც ყველგან ნაცებს ისვამენ.

— მათთან ოპონირება ადვილია: ეუბნებიან, „ის 9 წელი“ და კამათს ამთავრებენ!

— ჰო, მაგრამ აღარ „თოხლავს“ ამას ქართველი ხალხი! ეს 2 წელი ზუსტად ამიტომ ველოდით „ოცნებას“. სხვას ხომ არაფერს ვთხოვთ, ელემენტარულად, სამართლიანობის აღდგენა გვინდა. საკვანძო ადგილებზე ის ხალხი არ უნდა მუშაობდეს, ვინც გუშინ ოპოზიციონერებს სჯიდა და იტაცებდა. მართლა ჩალითაა დახურული ეს ქვეყანა – ვერაფერი გააკეთეს! იმედი და პატივისცემა, რაც ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის მიმართ გაჩნდა, ნელ-ნელა, ცუდი ქანებივით ჩამოიშალა.

— ანუ ახლა „ოცნების“ ოპოზიციაში ხართ?

— ჯერჯერობით, ოპოზიციაში არ ვარ, მაგრამ ეს ჩემი ბოლო მონდომება იქნება. ბატონმა ბიძინამ, თუ მაღალი თანამდებობის პირებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ „ოცნებამ“, როგორც პოლიტიკურმა სიმბიოზმა, ვერ ივარგა, ჩამოიშლება და მის შიგნით, შესაძლოა, ნაციონალებთან ერთად, სხვა სიმბიოზები შეიქმნას. ჰოდა, ეს 2 წელი ხომ „ვთოხლეთ“, ამიტომაც ახლა გვინდა, ცოტა აზრზე მოვიყვანოთ ხელისუფლება, თორემ თუ კიდევ „ვთოხლეთ“, ხვალ უფრო დიდი სასნაულები მოხდება — ჯვარი გვწერია და, ვთქვათ, სამოქალაქო დაპირისპირება, რომლისკენაც ბატონი მიშა მიდის. მას სურს, თევზი მღვრიე წყალში დაიჭიროს, მაგრამ ყველაფერს ვფიცავ, ქართველი კაცი სისხლის ბოლო წვეთს დაღვრის, მაგრამ ნაცების მობრუნებას არ დაუშვებს. თუ სამოქალაქო ომი დაიწყო, ქვეყანა უკან კი დაიხევს, მაგრამ ნაციონალებისა და კოჰაბიტანტი „ოცნებისგან“ გათავისუფლდება. მართლა სისხლი დაიღვრება!

— ამ სისხლისღვრით ქვეყნის სათავეში ვინ მოვა?

— ის ხალხი, ვინც შეიძლება, ევროპისთვის მისაღები არ ვიყოთ, მაგრამ ნორმალურ ქვეყანას ავაშენებთ. აბა, რა ვქნათ, ასპარეზი ისევ „ნაცებს“ დავუთმოთ?

— ანუ დიდ პოლიტიკაში შედიხართ?

— ჩემზე გამჭრიახი პოლიტიკოსებიც არიან, ჩემზე უკეთესი იურისტებიც და იმათ იმუშაონ. ჩვენ საზოგადოებრივი სექტორი გვექნება. აქციებსა და პიკეტებს არ ვაპირებთ, არც ივანიშვილის წინააღმდეგ წასვლას, თუმცა, თუ რაღაც კონკრეტულ საკითხზე პარლამენტს კარგ კანონპროექტს შევთავაზებთ და უკან გადმოგვიგდებს, ჩვენი ძალაც გამოჩნდება.

— კარგი... ვინ იქნება თქვენთან ერთად, ირაკლი კაკაბაძე და ირინა სარიშვილი?

— არა, ირინას ბავშვის ნათლია ვარ, უბრალოდ, ოჯახებით ვმეგობრობთ. სამუშაო ჯგუფი დაჯდება და საბოლოო თანხმობას იტყვის. არიან პარტიებიც არასაპარლამენტო ოპოზიციიდან და ცალკეული პიროვნებებიც. ალბათ, „ოცნებას“ ჭგონია, ილაპარაკებს ეს „კორკოტაც“ და გაჩერდებაო. არავის ვემუქრები, მაგრამ ეს 2 წელი პატარა კრიტიკულ წერილებს ვჯერდებოდი, ახლა კი მოქმედებაზე უნდა გადავიდეთ, რადგან ხელისუფლებაში უუნაროები, უნიჭოები და ბევრიც გაუნათლებელია.

— ამას ვისზე ამბობთ?

— აბსოლუტურად ყველაზე, პარლამენტშიცა და მთავრობაშიც. ისეთებიც არიან, ვისაც პატივს ვცემ, მაგრამ ვერ დავასახელებ — გარემოცვას რატომ უნდა შევაზიზღო?! ხელისუფლებას იმას კი არ ვთხოვთ, ეგენი გაუშვი და ჩვენ მოგვიყვანეო, უბრალოდ, სხვა უკეთესი ალტერნატივებიც არსებობს და ისინი წაიყვანოს ქვეყნის სათავეში.

— თავი „ერის ხმა“ გგონიათ? ეს კადრები ვისთვისაა მისაღები, თქვენი ვიწრო ჯგუფისთვის?

— არა, გენაცვალოთ ჩემი თავი! სწორედ ამიტომ მინდა, ეს მოძრაობა საზოგადო გახდეს. პროფესიონალები სახლში უსაქმოდ სხედან, ამიტომ 10, 20 კანდიდატურა დავაყენოთ, რომელსაც სწორედ ის კომპეტენტური ჯგუფი დაასახელებს, ვის შეკვრასაც ვაპირებთ.

— პირდაპირ გკითხავთ: „გრეჩიხები“ ბრუნდებიან?

— „გრეჩიხებთანაც“ მოლაპარაკების პროცესში ვარ. კი ბატონო, დაბრუნდებიან გაჩეჩილაძეებიც. ლევანთან ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს — თუ სურვილი ექნება, გამოჩნდება და ყველა კითხვას თავად უპასუხებს. ლევანი, უბრალოდ, დაიღალა და ტაიმ-აუტი აიღო. თუ ნახავს, რომ ქვეყანას სჭირდება, დაბრუნდება.

— ეს „აბა, ჰე და აბა, ჰო“ ხუმრობაა თუ მართლა ასეთი სლოგანი გაქვთ?

— საქმით სწორედ „აბა, ჰე და აბა, ჰო“ უნდა იყოს ეს ორგანიზაცია. რა ვიცი, ეს ოფიციალური სახელი არ არის, სადღაც, იანვრის ბოლოს უკვე ჩამოყალიბებული ვიქნებით და პრეზენტაციასაც გავმართავთ. სახელის რამდენიმე ვარიანტი არსებობს — მე უფრო „ალტერნატიული მოძრაობისკენ“ ვიხრები.

— მაშინ, აბა, ჰე და აბა, ჰო, ბატონო გია!

რეგიონი:	თბილისი	
	მომხდარია	დევნა დაიწყო
მკვლელობა	5	4
ჯანმრთელობის დაზიანება	8	8
ძალადობა(სხვა)	66	45

სულ მოხდა	დევნა დაიწყო	
591	434	73%
შემთხვევა	შემთხვევაში	

შინაგან საქმეთა მინისტრი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართვას ავრცელებს

ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადებით, ოჯახში ძალადობის პრობლემის მოგვარება 2015-2016 წლებში შს სამინისტროს თითოეული თანამშრომლის მთავარ პრიორიტეტად დარჩება: „ერთის მხრივ, გავაკეთებთ ყველაფერს პრევენციისთვის, თუმცა ძალადობის შემთხვევაში დამნაშავე კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება.

მსურს, მადლობა გადავუხადო ყველა სამართალდამცველს ბოლო ორი წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოსთვის და მოვუწოდო მეტი ძალისხმევისკენ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ. ამ პერიოდში, ჩვენ არამხოლოდ კონტროლზე ავიყვანეთ ძალადობის ფაქტები და მათზე რეაგირება, არამედ შევქმენით მონაცემთა განახლებადი რუკა, რომელიც სამინისტროს ვებგვერდზეა განთავსებული და რომლითაც თითოეულ შემთხვევას თუ რეაგირების მასშტაბებს საზოგადოებაც გააკონტროლებს; მოვახდინეთ საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრებაზე; ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კოორდინირებული და ეფექტური რეაგირების მიზნით გადავამზადეთ თანამშრომლები, მათ შორის 500-ზე მეტი უბნის ინსპექტორი. ძალადობის შემთხვევებზე ადეკვატური რეაგირებისთვის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებიდან გამოიყო ორ-ორი თანამშრომელი (ქალი და მამაკაცი); 2013 წელთან შედარებით გავაორმაგეთ ოჯახში მოძალადეთა მიმართ დევნის მაჩვენებელი; 2013 წელთან შედარებით თითქმის გავაოთხმაგეთ შემაკავებელი ორდერების გამოყენების მაჩვენებელი; მხოლოდ 2014 წელს საზოგადოებრივ ჯგუფებთან ჩავატარეთ 2200-მდე საინფორმაციო შეხვედრა; ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისთვის შეიქმნა ცხელი ხაზი; დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით ვმუშაობთ ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგიაზე.

ვინაიდან პრობლემა კომპლექსურია, მის მოსაგვარებლად საჭიროა არაერთი პირობის უზრუნველყოფა: საჭიროა საზოგადოების კიდევ მეტად ინფორმირება ძალადობის დაუშვებლობაზე; ძალადობის ფაქტებსა და რისკებზე საჭიროა პოლიციელის კიდევ უფრო დროული ეფექტური და კოორდინირებული რეაგირება; მსხვერპლებს უნდა ჰქონდეთ მტკიცე გარანტიები და თავდაჯერება, რომ პოლიციისადმი მიმართვის შემთხვევაში დაცული იქნება და დამნაშავე აუცილებლად დაისჯება; ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს, რომლებიც ძალადობის მსხვერპლები გახდნენ, სჭირდებათ უკეთესო ხელმისაწვდომობა უსაფრთხო და დაცულ თავშესაფარზე, ისევე როგორც სხვა სერვისებზე; გამკაცრდება კონტროლი იარაღის უკანონო ფლობაზე და მის კანონიერ მფლობელებზეც, რომელთაც წარსულში ძალადობრივი ქმედების გამოცდილება აქვთ, რადგან საერთაშორისო მონაცემებით იარაღის ქონა 5-ჯერ და მეტად ზრდის ქალის მოკვლის რისკს ოჯახში ძალადობის შემთხვევისას.

ოჯახში ძალადობა გლობალური პრობლემა და მნიშვნელოვანი გამოწვევაა თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებისთვის. სწორედ ამიტომ, პირადად მე და შსს წელს გავააქტიურებთ დისკუსიას ოჯახში ძალადობის თემაზე. გავაგრძელებთ მჭიდრო თანამშრომლობას სახალხო დამცველთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამოქალაქო საზოგადოების ყველა ნაწილთან — საკითხი კომპლექსურია და საზოგადოების ყველა სექტორის გაერთიანებას მოითხოვს.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა და დახარჯული ძალისხმევისა, მივიჩნევთ, რომ მოგვიწევს მეტის გაკეთება“.

„ვერსიანიუსი“

პატიმარი №0578

ზონის „გაშავების“ ლეგენდადქცეული ისტორია

როგორ დააყენა ჩუმად მონათლულმა ქურდმა პალაჟენია მე-16 დაწესებულებაში

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ბევრი ამბობდა, რომ ახლადმოსული მთავრობა პატიმრების მიმართ ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა. ეს მოსაზრება სიმართლისგან შორს არ იყო, რადგან პატიმრებმა თავისუფლება იგრძნეს, რეჟიმი მოეშვა და რეალურად თითქმის ყველა დაწესებულებას რამდენიმე კვირა მაყურებლები მართავდნენ, ოღონდ წინა ხელისუფლების მიერ დატოვებული კი არა, ახალი მაყურებლები, რომლებმაც ძველებს ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა არ აპატიეს.

ანალოგიური მდგომარეობა იყო მეშვიდე დაწესებულებაშიც, სადაც სასჯელს ე.წ. კანონიერი ქურდები იხდიან. ყველაზე ადრე სწორედ მათთან გაჩნდა მობილური, ლეპტოპი, უკაბელო ინტერნეტი და სხვა სიკეთეები. თუმცა პირველად სწორედ მათ გამოატყდა ხმაური — ტელეფონით გადაღებული ერთ-ერთი ქურდის დაბადების დღის სურათები სოციალურ ქსელში აიტვირთა და ხელისუფლებამაც „გამოიღვიძა“. რეჟიმის „მოჭერა“ ნელ-ნელა დაიწყო, თუმცა თავისუფლებასმონატრებულ პატიმრებს დათმობა უჭირდათ და ბევრგან მაყურებლები უბრალოდ „გაკრიტეს“.

„ასე გაგრძელება „სმერტია“. რამე უნდა მოვიფიქროთ, რომელიმე ზონა უნდა ავირჩიოთ და ვინმე ჩვენიანი უნდა წავიდეს იქ „პალაჟენიის“ დასაყენებლად. ერთი დიდი ზონა მაინც რომ შევინარჩუნოთ, ჩათვალეთ, ყველაფერი რიგზე იქნება“, — მეშვიდე დაწესებულებაში ქურდების ე.წ. სხადნიაკზე იმაზე იმტვრევდნენ თავს, ვინ უნდა გაეშვათ ზონაზე და კონკრეტულად, რომელი ზონა ამოეღოთ მიზანში.

„რუსთავის №16 დაწესებულება ყველაზე დიდია. რეჟიმიც მანდ იყო ყველაზე მეტად მოჭერილი, საჩვენებელ ზონად ჰქონდა კალმახელიძეს. მანდ უნდა წავიდეს ვინმე. ეს ვინმე კი ვასკა იქნება. ჯერ ერთი, თითქმის ათი წელია აქ ზის და მეორეც, არავინ იცის, რომ ქურდია. მის ნათლობას შვიდი სული ვესწრებოდით და პირობაც ასეთი იყო — როცა უნდა, მაშინ იტყვის, რომ ქურდია. ახლა რომ თქვას, სროკს დაუმატებენ, ამიტომ რუსთავში ვასკას გაშვება ვიჩალიჩოთ და მიხედავს“, — გადაწყვიტეს ქურდებმა და ყველასთვის კარგად ნაცნობი კრიმინალური ავტორიტეტი, მეშვიდეში ქურდად ჩუმად მონათლული ვასილ ხ. ორ დღეში ეტაპით რუსთავის №16 დაწესებულებაში გადაიყვანეს.

„ვასკა მოიყვანეს, ვასკა“, — აგუგუნდა ზონა. მისი მისვლის ძალა კი, ბადრაგმაც და პატიმრებმაც მეორე დღესვე იგრძნეს. დილიდან ვასკამ „ბლატატა“ შეყარა, ერთ მაყურებელს ყური აუწია, მეორე დატუქსა, საერთოში ჩასადები სიგარეტისა და ჩაის რაოდენობა შეამცირა, ზონას ამაზე მეტი არ სჭირდებაო და საღამოს უკვე მთელმა ზონამ იცოდა, რომ დაწესებულებას ახალი მაყურებელი ჰყავდა...

„რუსთავის მე-16-დან დარეკეს. ვასკა იყო, მოგიკითხა, მაგ კაცს მიმიხედეთო, ბავშვობის მეგობრები ყოფილხართ. ეგ აქამდე არ გითქვამს, არადა კი იცი, მაგ კაცს რა პატივს ვცემთ“, — უთხრა რუსთავის №17 დაწესებულებაში მყოფ პატიმარ №0578-ს მაყურებელმა.

„ჯერ ერთი, ვასკას ბავშვობის მეგობარი კი არა, შვილის ნათლია ვარ. მეორე — ჯერ არ დამჭირვებია და გამჭირვებია ისე, ეგ კაცი მეხსენებინა. მესამეც, არ დამთავრდება ეს კარგად, მაგას ზადნი არ აქვს და ან მთლიანად გააშავებს ზონას და ბოლოს იქ სპეცრაზმი შევა, ან ისევ მეშვიდეში უკრავენ თავს და ისევ უჰაეროდ იქნება. კიდევ რომ დარეკავს, აუცილებლად დამალაპარაკე“, — ნაღვლიანად თქვა №0578-მა და მაყურებელს დაშორდა.

მეორე საღამოს პატიმარ №0578-ს მაყურებლების კამერაში დაუძახეს. მე-16-დან ვასკა რეკავდა. საუბარი მხოლოდ წამები გაგრძელდა, ტელეფონები გაითიშა და ათ წუთში მაყურებლების კამერაში რეჟიმი შევიდა.

„არ გინდათ ახლა რამკების მტვრევა, ვიცით, რომ №0578 იქეთა ზონას ელაპარაკებოდა და კარცერში უნდა წავიყვანოთ“, — თქვა რეჟიმის უფროსმა ლევან პაჭკორიამ.

„არ არის პრობლემა. მე ვსაუბრობდი, მაგრამ იქეთა ზონას კი არა, თავისუფლებაზე მყოფ მეგობარს ველაპარაკებოდი. თუმცა თქვენ რას გიხსნით, კარცერი მაინც არ ამცდება“, — თქვა №0578-მა და მოსულებს გაჰყვა. საღამოს კარცერში დაწესებულების დირექტორი ლაშა ბრეგვაძე გამოჩნდა.

„ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გეტყვი — ეგ ვასკა მაგრად ახურებს, იმ ზონის დირექტორი რომ ვიყო, კი ვიცი, როგორც მოვუვლიდი, მაგრამ იქ არ ვარ. ამიტომ, თუ კიდევ დარეკავს, დაგვიდასტურე, რომ ეგ იყო და გავაბრუნებთ მეშვიდეში. სხვანაირად ის ზონა აჯანყდება. ლოცულობენ პატიმრები მაგაზე, ისე ევასებათ“, — თქვა ბრეგვაძემ.

„ლაშა, შენ „დათა თუთაშხია“ თუ გაქვს წაკითხული?!“ — იმდენად სერიოზული სახით ჰკითხა №0578-მა, ბრეგვაძემ თავი უხმოდ დაუქნია.

„ჰოდა, იქ არის ერთი ეპიზოდი. დათა ეუბნება რაჟა სარჩიმელიას — წადი, რაჟა, ბიძიკო, შენს გზაზე... რაჟა არ გქვია, მაგრამ რითმაში კი ჯდება და წადი ლაშა, ბიძიკო, შენს გზაზე“, — ჩუმად თქვა №0578-მა.

„ორ დღეში თუ არ გაგკრიტო, კაცი არ ვიყო“, — კბილებში გამოსცრა ბრეგვაძემ და კამერიდან გავიდა.

ორი დღის შემდეგ კარცერის კარი ხმაურით გაიღო. პატიმარი №0578 ნარზე იყო წამოწოლილი და გვერდი არც უცვლია, ისე დაელოდა, შემოსული რას იტყოდა, მაგრამ ბადრაგის ხმის ნაცვლად, ვასკას ხმა გაიგონა — „შენ ნახე რა, გაბლატავებულხარ ძმაო. კარცერში ხარ, კოტრიალობ, აქეთ არ იხედები. ჰა�ა, ქურდობა ხომ არ გინდა?!“ — ღიმილით უთხრა მეგობარს და გადაეხვია.

„შენ აქ საიდან, ვასკა?! ჩვენს ზონაზე გადმოგიყვანეს?!“ — გაუხარდა №0578-ს.

„არა, ბიჭებმა მითხრეს, რაზეც გაგაკარცერეს და გამოვისეირნე. ერთი საათი მაქვს დრო, მერე უკან, ჩემს ზონაზე უნდა დავბრუნდე. რა უნდა ამ ნაბოზვარს, ხომ არ იცი, რას გვერჩის?! იცოდა, რომ მოვყავდი და არ დამხვდა ადგილზე. არა უშვას, დავუტოვებ ამბავს და გადასცემენ. შენ ის მითხარი, როგორ ხარ?!“, — ისევ ჰკითხა №0578-ს.

„მე რა მიჭრის?! მაგრამ შენზე ლეგენდებს ჰყვებიან აქ. ლაშამაც ეგ მითხრა, ვასკა უკან დაგვაბრუნებინე და მაღარიჩი ჩემზეაო. გაგიბოზდება ვინმე და მეშინია, სროკი არ დაგიმატონ“, — ჩუმად უთხრა №0578-მა.

„რაღა უნდა დამიმატონ?! ამდენი წელია ვზივარ, ორი ამდენი კიდევ წინ მაქვს და პლუს-მინუს 3-4 წელი არაფერს შეცვლის. მე ან ერთიანად მეშველება და გავალ, ან საერთოდ არ მეშველება. შენ მაგაზე არ იდარდო. ახლა ზემოთ ავიდეთ, მაყურებლები უნდა ვნახო“, — ისევ იცინოდა ვასკა.

„შენ ადი, მე ოცი დღე მაქვს კარცერი, არავინ გამომიშვებს“, — უთხრა №0578-მა და გადაეხვია.

„მოიცა, რას მემშვიდობები, მე აქ რისთვის მოვედი?! ოე, სირებო, კარი გახსენით“, — გასძახა ოფიცრებს ვასკამ. მათაც კარი ფართხაფურთხით გახსნეს. №0578 და ვასკა ზონაზე ავიდნენ. იქ ვასკას ისე დახვდნენ, როგორც ეროვნულ გმირს. ის მშვიდად გაემართა მაყურებლების კამერისკენ და თან №0578-იც გაიყოლა. კამერაში მხოლოდ მაყურებლები და №0578 შეიკრიბნენ.

„ვინც არ იცის, იმის გასაგონად ვიტყვი. პატიმარი №0578 ჩემი ძმაა და მართალია, „კაიბიჭი“ არ არის, ჩვენი ძმაა და მე ვარ თავდები, რომ აქ ნაბაზრი მაგის პირიდან გარეთ არ გავა. რაც შეგეხებათ თქვენ, პალაჟენია უნდა შეცვალოთ, ცოტა მეტი უნდა მოითხოვოთ. რომელ ჯინსების შემოშვებაზეა ლაპარაკი, პატიმრები ჩემთან ზონაზე ერთმანეთს მობილურებით ეძებენ. მიაკაჩავეთ ეგ თქვენი ნაჩალნიკი, შიში უნდა ჰქონდეს და მერე დალაგდება ყველაფერი. აბა, ასე არაფერი გამოვა. მთელი სასჯელაღსრულება მე-16-ზე ლაპარაკობს და ყველა იქეთ იწევს, ასე არ ივარგებს, ძმაო. პალაჟენია მოიყვანეთ და ვისაც ამის უნარი არ აქვს, გვერდზე გადგეს. მორჩა, ვლასტი უნდა დავიბრუნოთ ისევ ზონებზე. ხომ გახსოვთ, წინა ხელისუფლებამ ნახევარი პრისტუპნიკები ინვალიდად დატოვა და აქედან ვინც გავა, იმათ შურიც უნდა იძიონ. 20-22 წლის ბიჭებს ინვალიდის ეტლში მარტო იმიტომ რომ ჩასვამ, რომ სადღაც დათვერი და პატიმრებთან მოინელე, მოსაკლავი ხარ. მე წავედი ახლა და თქვენ იცით“, — დაიბარა ვასკამ და წავიდა.

ცოტა ხანში ლაშა ბრეგვაძეც მოხსნეს და მაყურებლები ძალიან შეეცადნენ, მათი დაწესებულებაც მე-16 ზონას დამსგავსებოდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. იქიდან კი სასწაული ამბები ისმოდა, ბიჭებმა სატრენაჟორო დარბაზი მოაწყვეს, ბურთები და სპორტული ინვენტარი თავზე საყრელად ჰქონდათ, ვიღაც გორელმა საკუთარ თავზე აიღო და პირდაპირ ზონის ეზოში ერთი კამაზი გორის ვაშლი დაყარა, რომლებიც პატიმრებმა გადაინაწილეს.

„ვასკა, არ გაპატიებენ, დამიჯერე, არ გაპატიებენ. ყველამ იცის, რა ხდება მანდ და ან სპეცრაზმი შემოვა, ან კიდევ შენ გიზამენ რამეს. შეეშვი, რა, წამო აქეთ, მშვიდად, წყნარად ვიყოთ“, — თითქმის ყოველ დარეკვაზე უმეორებდა №0578 მეგობარს, მაგრამ ის იქით ეპატიჟებოდა, აქ არაფერი მოგაკლდებაო.

* * *

„№16 დაწესებულებაში სასწაული ხდება თურმე. ზონას შლიან მთლიანად. ვასკას ვერაფერი მოუხერხეს და პატიმრები გადაჰყავთ სხვადასხვა ზონაში, ანაწილებენ“, — უთხრა ერთ დღეს ოფიცერმა №0578-ს.

პატიმარი მაშინვე ტელეფონს ეცა და ვასკას დაურეკა.

„ზონას შლიან. ხედავ, რა პალაჟენია გვქონდა? ვერ შეგვეხნენ, უბრალოდ ზონას აცარიელებენ, დაკეტავენ, ეს არის, ძმაო, ქურდული, ეს არის. შენ არ ინერვიულო, მე არ დავიკარგები“, — უთხრა ვასკამ და როცა მე-17 დაწესებულებაშიც მიიყვანეს მე-16-დან პატიმრები, გაირკვა, რომ ვასკა ისევ მეშვიდეში დააბრუნეს.

სასჯელთა შეკრებითობის პრინციპის გაუქმების შემდეგ, ვასკა ციხიდან მალე გავიდა და საქართველოც მალე დატოვა. ის ახლა ევროპაში ცხოვრობს, ხმამაღლა თქვა, რომ ქურდია, მისი ამბავი კი დღესაც ლეგენდად დადის. 21-ე საუკუნეში ზონა ასე არავის გაუშავებია.

საქართველოს ეკონომიკური ანექსია თუ კომერციული ინტერესი

მე-4 გვერდიდან

სოსო დოლიძის საკუთრებაშია მშრალი ტვირთების, ანუ შაქრის, ხორბლის, ფქვილისა და არმატურის ტერმინალები. იმის გამო, რომ ფოთის პორტში ტვირთების განბაჟების მაღალი ტარიფებია, ეს პროდუქტები საქართველოში საკმაოდ ძვირად ფასობს.

საფრთხე თუ კომერციული ინტერესი?

რას ნიშნავს რუსეთის სახელმწიფო კომპანია „როსნეფტის“ შემოსვლა ფოთის პორტში და რამდენად საშიშია ეს კომპანია, რომელსაც პუტინის მეგობარი, იგორ სეჩინი ხელმძღვანელობს? სინამდვილეში, „როსნეფტი“ ფოთის პორტის ერთ-ერთი ტერმინალის ბიზნეს-მიმართულებას უხელმძღვანელებს. ეკონომიკის ექსპერტმა, პროფესორმა **ემზარ ჯგერენაიამ** „ვერსიასთან“ საუბარი სწორედ ამ თემით დაიწყო: **„ძნელია იმის თქმა, ზუსტად რა იყიდა „როსნეფტმა“, რადგან ამის დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტი არ გვინახავს. ჩვენ მხოლოდ ის განცხადება ვიცით, რომ ფოთის პორტის ერთ-ერთი ტერმინალის ბიზნესმიმართულება „როსნეფტის“ ხელში გადავიდა. ეს მიმართულება ეხება ტვირთების გადაზიდვასა და ლოგისტიკას. არ მესმის, რატომაა სახიფათო ეს პროცესი, ან რა შეუძლია თუნდაც რუსეთის სახელმწიფო კომპანია „როსნეფტს“, როდესაც „ვითიბი ბანკს“, იგივე ოქროს საბადოებსა და საქართველოში არსებულ სხვა ბიზნესკომპანიებსაც რუსები ფლობენ? წარმოუდგენელია, ეს ტრანზაქცია სახიფათო იყოს, რადგან სახელმწიფოს ყველანაირი ბერკეტი აქვს იმისათვის, რომ თავის ქვეყანაში ბიზნესი დაიცვას“.**

იმ პირობებში, როდესაც ფოთის პორტის გასხვისებასთან დაკავშირებით, დაზარალებულმა მხარემ პროკურატურასა და სასამართლოს მიმართა, რამდენად გამართლებულია, პორტის გასხვისება? ემზარ ჯგერენაიამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ თუ სარჩელის საფუძველზე, საქმე აღძრულია, ასეთ პირობებში, ტერმინალის გასხვისება იურიდიულად გამართლებული არ არის. ექსპერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „როსნეფტი“ ფოთის პორტის მართვაში არ შემოსულა და ეს უდიდესი შეცდომაა. მისი თქმით, რუსულმა კომპანიამ ერთ-ერთი ბიზნესსტრუქტურის, ანუ კომპანიის წილი შეიძინა, რაც არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს.

ფოთის პორტის ტერმინალის რეალური პრობლემა ის არის, რომ ამ პორტში ტვირთების განბაჟების მაღალი ტარიფები მოქმედებს, რის გამოც საქართველოში იმპორტირებული პროდუქცია გაცილებით ძვირია: **„დიახ, შესაძლოა, ასეთი პრობლემა მართლაც არსებობს ფოთის პორტში. საბაჟო ტარიფების შემცირებისა და ბიზნესის მონოპოლიზაციის თემები აქტუალური იყო და ამაზე მართლაც ბევრი გვაქვს სალაპარაკო, მაგრამ ეს „როსნეფტს“ არ ეხება“.**

ლოგისტიკური კომპანია „ისთგეით გრუპის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, **ირაკლი იაშვილმა** „ვერსიას“ განუცხადა, რომ „როსნეფტმა“ დავით იაკობაშვილისგან ის კომპანია შეიძინა, რომელიც ფოთის პორტის პირველ ტერმინალს მართავს: **„პირველი ნავმისადგომი თხევადი ტვირთების, ანუ ნავთობპროდუქტების ტერმინალია. სწორედ ამის გამო, ბოლო 20 წლის მანძილზე, ეს ტერმინალი ყველა ხელისუფლებისთვის „მსუყე ლუკმად“ ითვლებოდა და ხელიდან ხელში გადადიოდა. ამ ტერმინალს უამრავი მფლობელი ჰყავდა და ბოლოს დავით კეზერაშვილის ხელში აღმოჩნდა, რომელმაც 2011 წელს, ფოთის პორტის პირველი ტერმინალი რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენს, დავით იაკობაშვილს მიყიდა. აი, სწორედ ეს პირველი ტერმინალი გადავიდა „როსნეფტის“ ხელში, მაგრამ ამაში არაფერი საგანგაშო არ არის. „როსნეფტი“ სომხეთში ბენზინგასამართი სადგურების მსხვილი ქსელის მფლობელია. იმისთვის, რომ ნავთობპროდუქტები სომხეთში შეიტანოს, უმოკლესი გზა საქართველო და ამ შემთხვევაში, ფოთის პორტია. სინამდვილეში, რუსეთის სახელმწიფო კომპანიას წმინდა წყლის კომერციული ინტერესი ჰქონდა ფოთის პორტში, რადგან აქ დაცლის ტვირთს, რომელსაც სომხეთში შეიტანს. არავითარი პოლიტიკური სარჩული ამ ფინანსურ გარიგებას არ ახლავს და გიმეორებთ, საფრთხეს საერთოდ ვერ ვხედავ. ჭორია ისიც, რომ „როსნეფტი“ პუტინის საკუთრებაა, ასე არ არის, ამ კომპანიის ხელმძღვანელია იგორ სეჩინი, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის მეგობარია. რაც მთავარია, „როსნეფტი“ ერთადერთი რუსული კომპანია არ არის, რომელიც საქართველოში შემოვიდა“.**

„მადნეული“, „კვარციტი“, „აზოტი“, „ბილაინი“, „ლუკოილ ჯორჯია“, „ხრამჰესი-1“, „ხრამჰესი-2“, „თელასი“, „ვითიბი ბანკ ჯორჯია“, — ეს იმ კომპანიების არასრული ჩამონათვალია, რომლებსაც რუსები ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში დაეუფლნენ. თუკი რუსეთი და ზოგადად, რუსული კომპანიები გასული 9 წლის განმავლობაში, კონკრეტულად კი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ, გაუგებარია და ლოგიკაში არ ჯდება, რატომაა საშიში ფოთის პორტის ერთი, თუნდაც მნიშვნელოვანი ტერმინალის გადასვლა რუსული კომპანიის ხელში? საფუძვლიანი ეჭვი არსებობს ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვა პოლიტიკოსებისა და ექსპერტების პანიკური შიში „როსნეფტთან“ დაკავშირებით, პოლიტიკური სპეკულაციაა და სხვა არაფერი.

მნიშვნელობა არ აქვს, კომპანია ოფშორულ ზონაშია რეგისტრირებული, თუ არა, რადგან თუ შესაბამისი სტრუქტურები დაამტკიცებენ, რომ საეჭვო გარიგება შედგა, ამისთვის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო არსებობს, სადაც სწორედ ამ ტიპის დავებს იხილავენ. ამიტომ, საფრთხის შემთხვევაში, ხელისუფლებას საკმაოდ სერიოზული ბერკეტი აქვს, თუნდაც ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს სახით, სადაც შეუძლია სარჩელი შეიტანოს, საქმე აღძრას და ფინანსური გარიგება ჩაშალოს.

მამუკა ლომაშვილი წინა ხელისუფლებას „გოიმური პრაქტიკის“ დამკვიდრებაში ამხელს

რატომ დაუხურეს ერთი წლით საბავშვო თეატრი „მაჩაბელა“ ექსპრეზიდენტის ექსპროდისტს

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

„იუმორინა 2015“-ში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა მიზეზებზე საუბარი არ სურს, სამაგიეროდ ამაყობს, რომ საბავშვო თეატრის განვითარებაში საკუთარი წვლილი შეაქვს და 15 იანვარს დიდი სიყვარულით დაარსებულ „მაჩაბელას“ 9 წელი უსრულდება. არაერთი წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩვენ მაინც ვარსებობთ, საქველმოქმედო აქციებშიც ვმონაწილეობთ და ვცდილობთ, ერთმანეთს ცხოვრება გავულამაზოთო, — აცხადებს „ვერსიასთან“ ექსპრეზიდენტის ექსპროდისტი მამუკა ლომაშვილი, რომლისთვისაც ეს საკითხი დღეს ნაკლებმნიშვნელოვანია...

— არ მსურს საუბარი იმაზე, რატომ არ მივიღე მონაწილეობა „იუმორინა 2015“-ში, ეს ჩემთვის საინტერესო აღარაა, მთავარია, რომ საბავშვო თეატრ „მაჩაბელას“ 9 წელი უსრულდება, უამრავი წინააღმდეგობა დავძლიეთ და დღეს საკმაოდ ბევრი სპექტაკლი თუ კონცერტი გვაქვს ჩატარებული; გარდა ამისა, საქველმოქმედო აქციებშიც ვმონაწილეობთ და მოხარული ვარ, რომ ჩემი პატარები თავიდანვე ითავისებენ ქველმოქმედების არსს, სწავლობენ სიკეთის კეთებას და ბოლომდე აქვთ გააზრებული, რომ „ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით“...

— თუმცა, საქართველოში ქველმოქმედება კამერებისა და პიარის გარეშე არ არსებობს...

— დიახ, სამწუხარო ტენდენციაა — მთავარია, იყოს კამერა, მაგრამ იცით, ხშირად ეს კამერებიც არ არის ხოლმე — მასმედიის დაინტერესება ნაკლებია.

— ქველმოქმედებას პიარი როდიდან სჭირდება?

— ვერაფერს ვიზამთ, ეს სნობური დამოკიდებულება არსებობს... თუმცა, ვალდებული არავინაა ვინმეს წინაშე — ქველმოქმედება ხომ იძულებითი ვერ იქნება, ყველას თავისი ცხოვრება აქვს და საკუთარი შეხედულებებით ცხოვრობს. მე ის მახარებს, რომ პატარა მსახიობებმა იციან, რა არის სამოქალაქო ჩართულობა, ბოლომდე აცნობიერებენ, რომ არიან ადამიანები, ვინც თანადგომას საჭიროებს და ამას კამერები თუ პიარი ნამდვილად არ სჭირდება... ისინი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან, თუმცა გული მწყდება რომ ჩემთან ერთად ბევრი წინააღმდეგობის გადალახვამ მოუწია — ერთწლიანი იძულებითი პაუზა გვქონდა...

— თეატრი დახურეს?

— თამამად ვიტყვი — ეს წმინდა წყლის პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, წინა ხელისუფლებამ ჩვენი შექმნილი თეატრი დაანგრია, რაც უმძიმესი მომენტი იყო ჩემთვისაც და ბავშვებისთვისაც... არადა, 2 სპექტაკლზე ვმუშაობდით, პრემიერა უნდა გვქონოდა, თუმცა რადგან, ვამბობდი იმას, რასაც ვფიქრობდი და ეს ვიღაცებისთვის მიუღებელი იყო, ყველანაირი პირობა შექმნეს, არსებობა შეგვეწყვიტა.

— პირადპირი მითითება იყო?

— არა და ამას ვერც გაბედავდნენ იმიტომ, რომ თავს გამოააშკარავებდნენ, უბრალოდ, სკოლას შეუქმნეს პრობლემები, ჩემს გამო ბევრი ადამიანი ზარალდებოდა და იძულებული გავხდი, ასე მოვქცეულიყავი.

— პრეზიდენტის პროდიამაც არ გიშველა?

— მაგას ჩემთვის არასოდეს უშველია... არ უნდა ირეოდეს ხელოვნება და პოლიტიკა ერთმანეთში და ეს სწორედაც წინა ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკაა — დამოკიდებულება იყო ტრივიალური და გოიმური.

— ხელისუფლება ხელისუფლებად, მაგრამ საზოგადოების დამოკიდებულება როგორია თეატრის მიმართ — არაგოიმური?

— სამწუხაროდ, აქაც მედია პასიურობს — არსებობს ისეთი გადაცემა, სადაც წამოიწეოდა პრობლემები ან ტირაჟირება მოხდებოდა, ვინ რას აკეთებს?

— ტირაჟირებისთვის პროდუქტიც სათანადო უნდა შესთავაზოთ საზოგადოებას, თუმცა აქ მატერიალური საკითხიც დგას — როცა ხალხს არსებობის პრობლემა უდგას, ალბათ ნაკლებად ფიქრობს სულიერ საზრდოზე..

— ნუ ვიტყვით, რომ ხალხს არ აქვს თანხა — თუ ჩამოდის უცხოელი მომღერალი, ვის კონცერტზეც ბილეთები კატასტროფული თანხა ღირს, დარბაზი ივსება... თუ სპექტაკლი მოდური არაა, ხალხს ნაკლებად აინტერესებს და აქ გემოვნების პრობლემაა. აღარაფერს ვამბობ საბავშვო თეატრებზე — 9 წელია ამ საქმეს ვაკეთებ და ძლივს მივაღწიეთ რაღაცას. როდესაც დაიდგა „ქეთო და კოტე“, სცენაზე ვარსკვლავთცვენა იყო და არც ბილეთი ღირდა იაფი, მაგრამ მეტყვით დღეს, როცა დარბაზი არ გავსებულა? ამ დროს კი, შეიძლება ბევრად კარგი სპექტაკლი თამაშდებოდა სხვაგან და დარბაზში 30 მაყურებელზე მეტი არ იჯდა. ასე რომ საქმე ფინანსებში კი არა, პიარსა და გემოვნებაშია — შეიძლება, არ მოსწონდეთ, რასაც უყურებენ, მაგრამ მოდურ სპექტაკლს რომ ესწრებიან, თავი კაი ტიპები ჰგონიათ... რაც მეტი კამერაა მიშვერილი წარმოდგენაზე, მით მეტი მაყურებელი ჰყავს.

ამიტომაა მნიშვნელოვანი საბავშვო თეატრების განვითარება — შორს ვარ აზრისგან, რომ ჩემი ყველა მოსწავლე თეატრალურში ისწავლის, მაგრამ ისინი ლიტერატურას ეზიარებიან და საბოლოოდ, გემოვნებიან მაყურებლად ყალიბდებიან, რომელმაც იცის კარგისა და ცუდის გარჩევა.

— მაგრამ, როცა ხელოვანები, საჯაროდ ებრძვიან ერთმანეთს, იქ ძნელია კარგისა და ცუდის გარჩევა, არ მეთანხმები?

— ესეც წინა ხელისუფლების აბსოლუტური პასუხისმგებლობაა...

— რა შუაშია წინა ხელისუფლება იმასთან, სამთავრობო კონცერტში რეგიონებში წასვლა რომ არ უნდათ?

— იმით დავიწყოთ, რომ სწორედ წინა ხელისუფლების დროს იყო ის ყბადაღებული შავი სიები... საკუთარ მაგალითზე გეტყვით — ჩემთვის თითქმის ყველა სატელევიზიო ეთერი დახურული იყო, მაგრამ არავისთვის მისაყვედურია, შენ რატომ ჩანხარ და მე არა-თქო. ნურც სახელმწიფოს მოვთხოვთ, რამდენი მომღერალიცაა, ყველა დააკავოს სამთავრობო კონცერტში, მაგრამ წინა ხელისუფლებისას, როგორი მაგარი მომღერალიც უნდა ყოფილიყავი, საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გამო გბლოკავდნენ... არც ის იყო სწორი შეფასება — ვიღაცებს ცოცხლად სიმღერა არ შეუძლიათო, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ ხელოვანები სამთავრობო კონცერტებზე არ უნდა ვიყოთ დამოკიდებულნი. ეს კულტურული პოლიტიკის არარსებობის ბრალია. იმ ხელისუფლების დანაშაული კი ისაა, რომ ხელოვანები დაყვეს ჯგუფებად — ვინც ჩემთან არ არის, ჩემს წინააღმდეგაა. საერთოდ რაზე ვსაუბრობთ, როცა საესტრადო სასწავლებელი არ გვაქვს ქვეყანაში — გაუქმდა...

— თუ ასეა, ახლა რატომ დუმხარ?

— არავითარ შემთხვევაში, ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ, საკუთარ პოზიციას ღიად ვაფიქსირებ. საბედნიეროდ, არ არის ახლა ის მდგომარეობა, მკვეთრი პოზიციების დაფიქსირება იყოს საჭირო, საყდრსის თემაზე როგორ ვთქვა, რომ კარგია, არ ვარ მომხრე და ამას ყოველთვის ვიტყვი. ყოველთვის ვარ იქ, სადაც ჩემი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებია.

წაქცევის პირას მყოფი სახლი და ორი უმძიმესი ავადმყოფის ზამთრის შიში

მეგრელიძეების ოჯახი ხელისუფლებას დახმარებას და ალტერნატიული ფართით უზრუნველყოფას სთხოვს

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სილაურში, ყველაზე მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახის შესახებ თუ იკითხავთ, ყველა ზინა მეგრელიშვილის ოჯახს მიგასწავლით. ერთსართულიან, ავარიულ სახლში მცხოვრები 4 სულის უმძიმესი ყოფის შესახებ აქ ყველამ იცის. მეგრელიძეები უკვე წლებია უკიდურეს გაჭირვებას ებრძვიან. არა ჭერი, არა იატაკი, სახურავიც მწყობრიდან გამოსული, ავარიული კედლები და ხის ბოძებით შეკავებული წაქცევისპირასმისული სახლი. ამ პირობებში სავარძელს მიჯაჭვული დიასახლისი ორ შვილთან და შვილიშვილთან ერთად ცხოვრობს.

ოჯახის 4 წევრიდან მხოლოდ ერთია შრომისუნარიანი. ელიზბარი გვიყვება, რომ სხვა ქვეყანაში სამუშაოდ წასვლას, დედისა და ძმის მარტო დატოვების შიშით ვერ რისკავს: **„ვერ ვახერხებ, ოჯახი როგორმე გამოვიყვანო ამ უმძიმესი მდგომარეობიდან, 2 კვირით ვიყავი წასული თურქეთში სამუშაოდ და სულ იმაზე ვნერვიულობდი, ამათ რამე არ დამართვოდათ. ძალიან გვიჭირს“.**

ლიზიკო ჯერ მხოლოდ ათი წლისაა. განიცდის, რომ დედა მასთან არ არის — ოჯახის დახმარება მცირედით რომ შეძლოს, თურქეთში უწევს სიარული. 23 წლის გიორგი უმძიმესი ავადმყოფია, ზრუნვასა და სერიოზულ მკურნალობას საჭიროებს, თუმცა თავად უწევს ზრუნვა სავარძელსმიჯაჭვულ დედაზე. **„გიორგის მკურნალობა სჭირდება, მაგრამ ვერ ვახერხებთ. მეხმარება სახლის საქმეებში, ხან საჭმლის გაკეთებაში, 4 წელია, სავარძელს ვარ მიჯაჭვული, ფეხები მტკივა, გულის პრობლემები მაქვს, ოპერაციაა საჭიროო, მითხრეს, მაგრამ არ გვაქვს საშუალება. თან ისიც არ ვიცი, ოპერაცია შედეგს მომცემს თუ არა“,** — გვიამბობს დიასახლისი.

ოჯახს სოციალური დახმარება შეჩერებული აქვს. როგორც ამბობენ, დროებით — ერთ-ერთი წევრის საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო. ერთადერთი, რითიც გამოკვებას ახერხებენ, დიასახლისის და გიორგის ავადმყოფობის პენსიაა. არ აქვთ ბოსტანი და ვერც საყანე ფართობის დამუშავება შეძლეს. 5 ქათამი და რამდენიმე კილოგრამი თხილი — სულ ესაა, რის იმედადაც ახლა მეგრელიშვილები არიან. ვერც შეშა მოიმარაგეს. ამბობენ, სახლი ზამთრის ავდარსა და ყინვას, ვერც გაუძლებსო. მთავარი საფიქრალი ახლა ის აქვთ, რამდენად დროულად შეძლებს მათთვის ადგილობრივი ხელისუფლება დაპირებული ალტერნატიული ფართის გამოძებნას: **„სახლის სახურავი ნახევრად დაშლილია. შევიტანეთ განცხადება და დაგვპირდნენ, გადაგიყვანთ საცხოვრებლად სხვაგანო“.**

იმაზე, რომ ოჯახი ხელისუფლებისგან დახმარებას სასწრაფოდ საჭიროებს, მეზობლებიც ყვებიან. **„ბავშვს მკურნალობა სჭირდება და პატრონი არავინაა. დედამისი ვერ გადაადგილდება. ზამთარში ვერ თბებიან. კარი მაგენისთვის არაა და ჭერი. თუ დროულად არ მიაქციეს ყურადღება, დაენგრევათ სახლი თავზე“,** — გვეუბნება თემურ ფუტკარაძე.

ოჯახის უმძიმეს ყოფას გვიხსნის სულიკო მეგრელიშვილიც: **„სილაურში კი არა, რაიონში არ იქნება ამათზე გაჭირვებული არავინ. გაწვიმდება და წყალი ჩამოდის ყველგან. მოვდივართ, ვეხმარებით, გადავიყვანთ ამ ავადმყოფ ქალს ერთი კუთხიდან, მეორეში, რომ არ დასველდეს. ხან გიორგის აქვს წნევა, ყვირიან, დაგვეხმარეთო. ჩვენ რა შეგვიძლია? ვთხოვთ ხელისუფლებას, მოხედოს ამ ხალხს. მძიმე მდგომარეობაში არიან ძალიან“.**

ადგილობრივ ხელისუფლებაში გვიხსნიან, რომ მეგრელიძეების ოჯახი იმ დასახმარებელთა ბაზაშია შეყვანილი, რომელთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა საავადმყოფოს ყოფილ შენობაში უნდა მოხდეს. იქ კი, არსებული მდგომარეობის შესწავლა, საწყის ეტაპზეა და არავინ იცის, ზამთრის დადგომამდე მეგრელიშვილები საცხოვრებელის შეცვლას მოახერხებენ, თუ უმძიმესსა და უკიდურეს მდგომარეობაში კიდევ ერთი ზამთრის შიშით გადატანას.

P.S. მაშინ, როცა გურიაში ისევე, როგორც ზოგადად ქვეყანაში ათასობით ადამიანი უკიდურეს სიღარიბეს ებრძვის, როცა მძიმე ავადმყოფებს სამედიცინო მომსახურებაზე ხელი არ მიუწვდებათ, როცა ბევრისთვის საკვებიც სანატრელია და გროშებისთვის მეზობელ ქვეყნებში შავ მუშებად იხიზნებიან, მავანნი თავს იმით იმართლებენ, რომ ბიუჯეტი ვერ წვდება შეჭირვებულთა დახმარებისთვის საჭირო თანხებს. სწორედ ამ დროს კი, საკრებულოს სხდომებზე მნიშვნელოვან განსახილველ საკითხს, ხელისუფებისთვის ხელფასების მომატება წარმოადგენს მოტივით — როცა დიდი პასუხისმგებლობა მეკისრება, შესაბამისი ანაზღაურება მჭირდებაო. ასე რომ მოხდეს, 1 ოქტომბრიდან მუნიციპალიტეტის გამგებლის და საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასები 2 650 ლარით განისაზღვრება. პირველი მოადგილის — 2 250 ლარით, სხვა მოადგილეები 2 050 ლარს მიიღებენ. გამგეობის სტრუქტურული დანაყოფების, სამსახურის უფროსების თანამდებობრივი სარგო 1850 ლარით განისაზღვრება. უფროსი საჯარო თანამდებობის (განყოფილების უფროსი) პირი 1050 ლარს, გამგებლის წარმომადგენელი ტერიტორიულ ორგანოში ასევე 1050-ს, გამგებლის თანაშემწე 1000 ლარს, მთავარი სპეციალისტი — 850, წამყვანი სპეციალისტი — 750, უფროსი სპეციალისტი — 700, სპეციალისტი კი 650 ლარს მიიღებენ.

მაკა ლომაძე
555-27-95-13

ფარული ნაღმები ადრეულ აღზრდაში

რა შეცდომას უშვებენ მშობლები, რა კავშირშია მოზარდების თვითმკვლელობა აღზრდასთან და როგორ დავიცვათ შვილი მავნე გარემოსგან

„ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ“, — ისტორიამ და შესაბამისმა სპეციალისტებმა, არაერთხელ დაადასტურეს ანტუან დე სენტ ეგზიუპერის ამ ფრაზის გენიალობა. ადამიანი ემეტესად ისეთად რჩება, როგორადაც 18 წლამდე ყალიბდება. ძველი ლათინელები ამბობდნენ, რომ ბავშვი არის „ტაბულა რასა“ — სუფთა დაფა, რომელიც ისეთი იქნება, რასაც მასზე დაწერ. ფსიქოთერაპიისას, ახალი ტრავმის კვალს სწორედ ბავშვობაში ეძებენ. ცხადია, გენეტიკაც გასათვალისწინებელია და ხასიათიც, მაგრამ დღეს, ფსიქოლოგ თინათინ ჭაღოშვილთან იმის გარკვევა ვცადეთ, რა გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაში ე.წ. ადრეული აღზრდა.

— ადრეული აღზრდა უმნიშვნელოვანესია ადამიანის განვითარებისა და ჯანსაღი ფსიქიკის ჩამოყალიბებისთვის. მუცლად ყოფნისას, უსაფრთხოების განცდაა, შემდეგ კი, სენსომოტორული (დაბადებიდან 2 წლამდე) სტადია, რაც შემდგომში, ერთად უზრუნველყოფს ბავშვის შემეცნებითი და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. ამ სამ ფუნდამენტურ ეტაპზე დგას ზრდასრულობაში ადამიანის სტაბილური ფსიქიკა. უსაფრთხოების განცდა ყალიბდება ბავშვის აღმზრდელთან მიჯაჭვულობისა და ემოციური რეგულაციის დროს. პატარა თანდათან სწავლობს ემოციების მართვას. სტრესისას აღმზრდელი ეხმარება, გაუმკლავდეს სირთულეებს, მაგრამ როცა მიჯაჭვულობა არასწორია, აღმზრდელის ქცევა კი არაპროგნოზირებადი, ბავშვი ვერ სწავლობს პრობლემასთან გამკლავებას და გარემოსთან ჯანსაღ ადაპტაციას. პირიქით, მას უვითარდება ბრძოლის, გაქცევის და გაშეშების რეაქციები.

— რას გულისხმობს თითოეული მათგანი?

— ბრძოლის სტრატეგიის გამომყენებელი ბავშვი (არაჯანსაღი ადაპტაცია-თვითგადარჩენის მიზნით) შესაძლებელია გარდატეხის ასაკში აგრესიული იყოს გარემოს, სხვა ადამიანების მიმართ. შეიძლება იყოს ჩხუბისთავი, იქურდოს... გაქცევის სტრატეგიის მქონე ბავშვი დაიწყებს პრობლემის იგნორირებას, სოციალურ იზოლაციას, ჩაიკეტება საკუთარ თავში. შეიძლება შეექმნას ფსიქიკური პრობლემები და შვება ალკოჰოლსა ან ნარკოტიკში ჰპოვოს. გაშეშების სტრატეგიის მქონე ბავშვი კი ჩამოყალიბდება მორჩილი, უმოქმედო, უმოძრაო. შესაძლებელია, იყოს პასიური, ზარმაცი, სტრესულ სიტუაციებში უუნარო. ჩუმად იჯდება გაკვეთილზე, მაგრამ მასალას ვერ აითვისებს.

სტრესულ გარემოში გაზრდილი ბავშვები, რომლებსაც ძალადობის ხშირი გამოცდილება აქვთ, მშვიდ გარემოშიც შფოთავენ. ისინი უსაფრთხო გარემოშიც კი „მუდმივ მზადყოფნაში“ არიან, რასაც სხვაგვარად „ზე სიფხიზლე“ ჰქვია. ასეთ გარემოში გაზრდილ ბავშვს გარდატეხის ასაკის უმტკივნეულოდ გადალახვა გაუჭირდება. ის ვერ იქნება ასაკობრივ განვითარებაზე ორიენტირებული და მხოლოდ არახელსაყრელი გარემოდან მიღებულ გამოცდილებას გამოიყენებს.

— ახსენეთ აღმზრდელის არაპროგნოზირებადი ქცევა და მასთან არასწორი მიჯაჭვულობა. კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— სწორი მიჯაჭვულობა გულისხმობს თუნდაც მუცლად ყოფნის დროს, ან პირველი კონტაქტიდან, დედის დამოკიდებულებას და ურთიერთობის ინტენსივობას. დედასთან პირველი შეხება მშობიარობის შემდგომ, ძუძუთი კვება წლინახევრამდე, მისი გადაჩვევა — ეს ყველაფერი აყალიბებს ბავშვში უსაფრთხოების განცდას. დედა მუცლადყოფნიდანვე აუცილებლად უნდა ეკონტაქტებოდეს ბავშვს, შემდეგ ძუძუ, უმჯობესია, წლინახევრამდე აწოვოს. თუ ეს პერიოდები იქნება დაცული და ძუძუთი კვების გადაჩვევის მომენტიც უმტკივნეულო ან ნაკლებად მტკივნეული იქნება, ბავშვს აღმზრდელისადმი სწორი მიჯაჭვულობა და უსაფრთხოების განცდა ჩამოუყალიბდება. აუცილებელია, წლამდე პატარა დედამ ხშირად აიყვანოს ხელში და მიიხუტოს მკერდზე.

— გარდატეხის ასაკი ყველაზე მგრძნობიარეა და ხშირად, მოზარდებისთვის ფატალურადაც კი სრულდება. ამ პერიოდში ჩადენილი თვითმკვლელობის მცდელობის ან თვითმკვლელობის მიზეზი აღზრდაში დაშვებული შეცდომებიც შეიძლება იყოს?

— სუიციდის მცდელობის მქონე ადამიანების სტრატეგია უმეტესად გაქცევაა. თვითმკვლელობის დაახლოებით 50% მოდის არა თავის მოკვლაზე, არამედ — მცდელობაზე. ხშირ შემთხვევაში, ეს არის ისტერიული ქცევა ვიღაცის ყურადღების მიქცევის მიზნით, რაღაც მიზნის მიღწევისთვის — ადამიანი ქვეცნობიერად ათამაშებს ისეთ სცენარს, სადაც იცის რომ გადაარჩენენ. მაგალითად: წინასწარ რეკავს სასწრაფოში, ან ისეთ დოზა წამლებს იღებს, რომ შედეგი ლეტალური არ იყოს. ამას ზოგჯერ ცნობიერადაც აკეთებენ. ძალიან სათუთ საკითხს შევეხეთ და უნდა ვიცოდეთ: ვინმემ ხუმრობითაც რომ ახსენოს თვითმკვლელობა, ყურადღებამისაქცევი სიმპტომია. ამ მიმართულებითაც, უმნიშვნელოვანესია, ბავშვი იზრდებოდეს მზრუნველ და მოსიყვარულე გარემოში. მთავარია დედ-მამის სიყვარული, მათი ურთიერთობა პატარასთან. ყოველი წუთი უნდა გამოვიყენოთ, რათა ბავშვს ხშირად მოვეფეროთ და ვეთამაშოთ.

— აღზრდის გარდა, მნიშვნელოვანია გარემო, რომელიც ცვლის ადამიანს და ზემოქმედებს მასზე. ბავშვი როგორ დავიცვათ ისეთი მავნე გავლენისგან, როგორიცაა მაგალითად ბილწსიტყვაობა?

— ბავშვს იზოლაციაში ვერ მოვაქცევთ. თუ 6 წლამდე ბავშვმა ქუჩაში გაგონილი ცუდი სიტყვები გაიმეორა, აუცილებლად იგნორირება უნდა მოვახდინოთ — თითქოს არც გაგვიგია. თუ ამან არ გაამართლა, მშვიდად უნდა ავუხსნათ, რომ „არ შეიძლება ამ სიტყვების გამოყენება“, „ეს ცუდი საქციელია“... მთავარია, სიმშვიდე შევინარჩუნოთ და ტონი არ შევცვალოთ. ბავშვი თავს გამარჯვებულად მაშინ მიიჩნევს, როცა უფროსი წყობილებიდან გამოჰყავს, ამიტომ სჯობს დროულად ვისწავლოთ მასთან „დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმოება“, თანამშრომლობა და რაც მთავარია — ჩვენს ოჯახებში არ უნდა ისმოდეს ასეთი სიტყვები!

— როგორ დავიცვათ ბავშვი სტრესისგან, რომელიც შეიძლება ტექნიკის მიღწევებმა გამოიწვიოს?

— ესეც არასასურველი გარემოა, რაც თანამედროვეობამ შექმნა. კომპიუტერმა ბევრ დადებითთან ერთად, ბევრი უარყოფითიც მოგვიტანა. პირველ რიგში ეს ეხება ბავშვებს, ვისაც მომავალში უმოძრაობა და მიჯაჭვულობა ელის, თუ დროულად არ ჩაერია ოჯახი. 2 წლის ბავშვის ოთახში ნუ დადგამთ კომპიუტერს, რომ ხშირად არ მოგთხოვოთ მისი ჩართვა. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის კი, მულტფილმების საყურებლად, დრო უნდა განვსაზღვროთ — ნახევარი საათი... სკოლის ასაკის ბავშვს კომპიუტერთან ჯდომის დღეში 1 საათი უნდა დავუწესოთ. კომპიუტერის ალტერნატივა კი, მათ თავად უნდა შევთავაზოთ — ჩვენი ჩართულობა თამაშებში და მეცადინეობაში (არა აქტიური). ბოლოს და ბოლოს, არც ისე ძნელია, წავუკითხოთ, ვეთამაშოთ, გავასეირნოთ...

— ბევრი მშობელი ფიქრობს, რომ აღზრდის ძველი მეთოდები დღეს გამოუსადეგარია, რადგან ბავშვი იჩაგრება. აღზრდის ფსიქოლოგიაში მიდგომა მართლაც შეიცვალა?

— მეთოდები იცვლება უკეთესობისკენ. ფუნდამენტური ღირებულებები კი, ყოველთვის უცვლელია ყველგან. განსხვავება მხოლოდ ქცევის გამოხატვაში შეიძლება იყოს ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების მიხედვით. ბავშვს მხოლოდ ის უნდა ავუკრძალოთ, რაც მას ზიანს მოუტანს. ცალსახად თქმა, რა კარგია და რა არის ცუდი, არ შეიძლება. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მოხუცს ადგილი უნდა დაუთმოს, მაგრამ თუ თავად შეუძლოდაა, არდათმობისთვის არ უნდა განვიკითხოთ. მთავარია შვილებს ფუნდამენტური ღირებულებები ჩამოვუყალიბოთ და შემდეგ, თავად, ვითარებიდან გამომდინარე განსაზღვრავენ, როდის როგორ მოიქცნენ.

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული დავით ჭ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 4 შეკვრად დაფასოებული 20 აბი „სუბოქსინი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,157 ბუპრენორფინს შეიცავს. დავით ჭ. აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ თაღლითური დაჯგუფების წევრები დააკავა

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, ახმეტის რაიონული სამმართველოს და ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს გარდაბნის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული გიორგი ა, 1960 წელს დაბადებული გიორგი ტ. და 1978 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ელენე ი. თაღლითობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით მოქმედებდნენ, ხანდაზმულ პენსიონერებს გაერო-ს წარმომადგენლების სახელით ეცნობოდნენ და რამდენიმეთვიანი საპენსიო სესხის აღების სანაცვლოდ, ფინანსურ დახმარებას და პირველადი მოხმარების პროდუქტებით უზრუნველყოფას პირდებოდნენ. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს, პენსიონერები სესხის აღების მიზნით, „ლიბერთი ბანკში“ მიჰყავდათ და დოკუმენტაციაზე ხელს აწერინებდნენ. თანხებს, რომლებიც პენსიონერებს კრედიტის სახით უმტკიცდებოდათ, ბრალდებულები მართლსაწინააღმდეგოდ ითვისებდნენ. გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში დაკავებულებმა ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშენში მცხოვრები მოქალაქის საბანკო ანგარიშიდან 1575 ლარი, თელავის რაიონის სოფელ კონდოლში მცხოვრები ქალბატონების ანგარიშებიდან — ჯამში 1500 ლარი, ხოლო გარდაბნის რაიონის მკვიდრი სამი მოქალაქის საბანკო ანგარიშიდან — 3000 ლარი მიითვისეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გიორგი ა. და ელენე ი. რუსთავში, რუსთაველის ქუჩაზე, ხოლო გიორგი ტ. თბილისში, მახათას მთის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია (საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით).

„ვერსიანიუსი“

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		5		3	1		8	
1	4							
9	8		2					
5			6	8				
	1	9		7		3	2	
				2	9			5
					8		5	1
							4	6
	9		7	1		8		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		4	9	7			3	
						9		
	6	5	4					
4		2		1		8	5	
	9	8		5		6		3
					3	1	7	
		9						
	7			9	4	3		

ᲠᲗᲣᲚᲘ

	5		3	2	1			
	9	8	7					
2					8			
5		6		4			1	
	7						8	
	2			8		3		6
			8					2
					6	5	7	
			1	5	9		6	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

		8						1
2				9		6	3	
3			8	6			7	
	4		6			3		
9				4				5
		1			9		4	
	2			8	7			6
	8	6		3				7
7						2		

ყველაზე მძიმე დღე სამშაბათია

როგორც ჩანს, ცდებიან ისინი, ვინც მიიჩნევს, რომ კვირის ყველაზე მძიმე დღე ორშაბათია. ბრიტანელმა სწავლულებმა ცოტა ხნის წინ განაცხადეს, რომ სწორედ ორშაბათს, დაახლოებით დილის ათ საათზე ადამიანების უმრავლესობა მაღალ შრომისუნარიოანობასა და ტვინის აქტიურობას ავლენს. ამას ხელს უწყობს დასვენების დღეები, რაც „გადატვირთვის“ საშუალებას იძლევა. ასეთი პიკის შემდეგ, ყურადღების კონცენტრაცია და შრომის პროდუქტიულობა თანდათან იკლებს და უკვე სამსაბათს 4 საათზე ეს მაჩვენებელი მინიმუმს აღწევს. ამიტომ სწავლულები დაბეჯითებით გვირჩევენ, ორშაბათ დილას დავგეგმოთ მნიშვნელოვანი საქმეები, რაც ყურადღებასა და დი პასუხისმგებლობას მოითხოვს. სამსაბათის მეორე ნახევარი კი, შეგვიძლია სამართლიანად მივიჩნიოთ სამუშაო კვირის ყველაზე მძიმე პერიოდად. თუმცა, თუ კვირის ყველა დღე მაინც მძიმე და დაძაბული გელით, შეგიძლიათ შეეცადოთ საკუთარი ტვინის გაქტიურებას. სპეციალისტებმა რამდენიმე პუნქტიც კი გამოყვეს, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება მნიშვნელოვნად გავააქტიუროთ ტვინის მუშაობა. პირველ რიგში, თვის კოფეინი და ტეანინი ესაჭიროება. ეს ნივთიერებები მის სტიმულირებას ახდენს, ხელს უწყობს მნისვნელოვანი ინფორმაციის დამახსოვრების პროცესს. თუმცა, თუ დღის განმავლობაში რამდენიმე ფინჯან ყავას მიირთმევთ, ამით შესაძლოა შფოთიანობა მოიმატოთ და არასასურველი ეფექტი მიიღოთ. ტეანინი ამინომჟავაა, რომელიც ამცირებს ფორიაქის შეგრძნებას. ამიტომ ოპტიმალური „საოფისე“ სასმელი მწვანე ან შავი ჩაია, რომელშიც კოფეინისა და ტეანინის ადამიანისთვის ოპტიმალური კომბინაციაა.

ფეხსაცმელი 1000-წლიანი გარანტიით

ბრიტანელმა დიზაინერმა კრის შელისმა მსოფლიოში ყველაზე გამძლე ქუსლიანი ფეხსაცმელი შექმნა, რომლის უცვეთობის გარანტია ათასი წელია. ნოვატორმა თავისი ქმნილებისთვის უჟანგავი ფოლადი და ვერცხლი გამოიყენა. შელისი ამტკიცებს, რომ გარდა სიმტკიცისა, ფეხსაცმელი მოსახერხებელიც იქნება და იგი მსურველს 1600 დოლარი დაუჯდება. გამოყენებული მასალების წყალობით, ფეხსაცმელს არასოდეს დასჭირდება შეკეთება. მას Riviera უწოდეს და მაღალი ორთოპედიული სტანდარტების მიხედვით დამზადდა. კრისი მეტალის ფეხსაცმელზე ორი წლის განმავლობაში მუშაობდა და საბოლოო შედეგით კმაყოფილია. „მუდმივი შპილკები“ შეგიძლიათ მემკვიდრეობით შვილიშვილებს გადასცეთ, — ამბობს დიზაინერი.

იდეალური დრო სამუშაოს დასაწყებად

ამერიკელმა სწავლულებმა პენსილვანიის უნივერსიტეტი-დან დაადგინს, რომ სამუშაო დღის დაწყება დილის 10 საათზე ზრდის თანამშრომელთა შრომის ნაყოფიერებას, ზედმეტი 20 წუთით ძილის გახანგრძლივება ადამიანის შრომისუნარონო-ბაზე სასიკეთოდ მოქმედებს. ექსპერტების თქმით, სამუსაო დღის დაწყების შეფერხებას შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს მუშაობის ეფექტურობასა და ადამიანების განწყობაზეც. სპე-ციალისტებმა დაახლოებით 120 ათასი ამერიკელის გრაფიკი შეისწავლეს, განსაზღვრეს დრო, რასაც ისინი ხარჯავდნენ მილზე. შედეგებმა აჩვენა, რომ სამსახურის ადრიანად დაწ-ყება უარყოფითად ისახებოდა შრომის ნაყოფიერებაზე, ცოტა გვიან დაწყება კი, დაახლოებით დილის 10 საათზე, პირიქით, შრომისუნარიანობას ამაღლებდა. მიღებული შედეგების მიხედვით, ყოველი ერთი საათით სამსახურის გვიან დაწყება ადამიანებს 20 წუ-თით მეტად გამოძინების საშუალებას აძლევს. მათ, ვისი სამსახურიც დილის 6 საათზე იწყება, საშუალოდ 6 საათი სძინავთ, ეს კი არ არის საკმარისი სრულფასოვანი დასვენებისთვის. ისინი კი, ვისაც სამუშაო 9-დან 10 საათამდე ეწყება, 7,5 საათით ახერხებენ გამოძინებას, რაც გაცილებით სასარგებლოა ჯანმრთელობისთ-ვის. ძილის მედიცინის ამერიკული აკადემია გვირჩევს, ოპტიმალური ჯანმრთელობისთვის, შრომისუნარიანობისა და უბრალოდ, კარგი განწყობისთვის უფროსებმა 7-9 საათი მაინც იძინონ ყოველ ღამით. კვლევის ავტორები ასკვნიან, რომ სამუშაო დღის დასაწყისის 10 საათზე გადატანა საუკეთესო დროა კარგი მუშაობისთვის.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

3	5	8	7	2	1	4	9	6
9	6	2	5	8	4	3	7	1
1	4	7	6	9	3	2	5	8
2	1	4	8	7	6	9	3	5
8	9	3	4	5	2	1	6	7
5	7	6	3	1	9	8	2	4
4	3	5	2	6	8	7	1	9
7	2	1	9	4	5	6	8	3
6	8	9	1	3	7	5	4	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

2	1	8	9	7	5	6	4	3
6	5	4	1	3	8	2	7	9
3	9	7	2	6	4	8	1	5
8	3	2	6	4	7	5	9	1
5	7	1	3	2	9	4	8	6
4	6	9	8	5	1	7	3	2
7	4	6	5	1	3	9	2	8
9	2	3	7	8	6	1	5	4
1	8	5	4	9	2	3	6	7

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	3	2	9	8	7	6	5	4
6	7	9	5	4	3	8	2	1
8	5	4	6	2	1	9	7	3
9	6	8	1	7	4	5	3	2
7	2	5	3	6	9	1	4	8
4	1	3	2	5	8	7	9	6
5	4	7	8	3	6	2	1	9
3	9	6	7	1	2	4	8	5
2	8	1	4	9	5	3	6	7

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

2	7	1	6	3	9	8	5	4
3	9	8	7	5	4	2	6	1
6	5	4	2	1	8	3	9	7
1	6	7	9	8	5	4	2	3
5	4	9	3	7	2	1	8	6
8	3	2	4	6	1	9	7	5
4	8	6	1	2	7	5	3	9
9	2	3	5	4	6	7	1	8
7	1	5	8	9	3	6	4	2

მე-10 გვერდი: 1. კორნერი; 2. ონაგრი; 3. ნაგაზი; 4. რელე; 5. ბაობაბი; 6. ამალთეა; 7. ბადახში; 8. ბელი; 9. ჩარგალი; 10. იტერბიუმი; 11. იმბეცილი; 12. ოსპი; 13. შანდალი; 14. ონტარიო; 15. იემენი; 16. დიაოხი; 17. სამიტი; 18. თოხი; 19. ნიკ; 20. ბრიზი; 21. ეკიუ; 22. იურმალა; 23. სიმინდი; 24. კოკაინი; 25. ჟენშენი; 26. კორტესი; 27. კონუსი; 28. ტრიადა; 29. ილი; 30. ატიმია; 31. ეკო; 32. კარიესი; 33. ბუცი; 34. ბრონტე; 35. ნეკი; 36. ნერონი; 37. მერი; 38. გმირი; 39. ურნა; 40. სარა; 41. ნაბლა; 42. მუმლი; 43. რეისი; 44. ნალა; 45. რუმბი; 46. ირისი; 47. ნიამეი; 48. სვია; 49. „ფორბსი“; 50. ლირა; 51. შავი; 52. გენია; 53. მარე; 54. ტუაფსე; 55. ზმნა; 56. ია; 57. დანია; 58. ნო; 59. შტანგა; 60. ომარ; 61. ტრიო.

მე-12 გვერდი: 1. ავთანდილი; 2. ჰარლემი; 3. ალბანეთი; 4. თელავი; 5. ნიყვი; 6. აბიტურიენტი; 7. ლაიტმოტივი; 8. მონა; 9. ნავთი; 10. ალუმინი; 11. ყულაბა; 12. ილიონი; 13. ოლიფა; 14. კლიტე; 15. ლელო; 16. ელია; 17. თალგამი; 18. უზმო; 19. უთო; 20. აგამია; 21. ტუფი; 22. იეტი; 23. აშკე-ნაზი; 24. რენომე; 25. ორატორია; 26. ბრა; 27. აკრობატიკა; 28. ავანსი; 29. რაიკინი; 30. სალივაცია; 31. მუმბაი; 32. ძუა; 33. ირი; 34. სირ; 35. ოკა; 36. იშტა; 37. ორხაო; 38. ნატურა; 39. ეტა; 40. ელი; 41. კოჟრი; 42. კილი; 43. რკალი; 44. აირანი; 45. ბარნოვი; 46. ბიულეტენი; 47. ატოლი; 48. ნასკა; 49. „ცეზარი“; 50. არატი; 51. ტიმ; 52. კირი; 53. ბაიკა; 54. არია; 55. ივრი; 56. მინარეთი; 57. იაკი; 58. ალი; 59. ექო; 60. ვალე; 61. დაიმი; 62. „ურმული“; 63. მჭლე; 64. თომა; 65. ემა; 66. ებანი; 67. კანა; 68. ფაუ; 69. ჩირი; 70. ქონი; 71. თაბორი; 72. ადა; 73. რუ; 74. რეა;’ 75. სარი; 76. ომარ; 77. ილ; 78. თია; 79. მაალა; 80. ჭროღა; 81. მაკლარენი; 82. მანათი; 83. აღა; 84. მათლაფა; 85. მიელიტი; 86. „ია“; 87. ნაი; 88. აის.



მეცნიერების პიარი მკერდის დახმარებით

მეცნიერების პოპულარიზაციისთვის უჩვეულო კომპანია წამოიწყო სოციალურ ქსელებში, ინტერნეტ-მარკეტინგის 30 წლის იტალიელმა სპეციალისტმა ლარა ტაიტმა — „მკერდი მეცნიერებისთვის“ ყველაფერს თავად ამბობს — იტალიელი მანდილოსნები საკუთარი მკერდის სელფს იღებენ და თან რომელიმე სამეცნიერო მიღწევის, საინტერესო ფაქტის ან გავრცელებული მოსაზრების უარმყოფ ინფორმაციის ფოტოსაც აქვეყნებენ. როგორც ჩანს, აპენინელების განათლება საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებში კარგი არ არის. ადამიანის განათლების დონე იმით ისაზღვრება, როგორ ერკვევა ხელოვნებაში, ლიტერატურასა და ისტორიაში. წამოწყების მიზანია, ადამიანებმა მეტი შეიტყონ თამამედროვე მეცნიერების შესახებ და უსარგებლო სტერეოტიპებისგან გათავისუფლდნენ. ლარამ ერთ-ერთ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა საკუთარი ბიუსტის ფოტო შავ კორსეტში, კომენტარებით: ევოლუციის თეორიას უარყოფს იტალიელთა 25% და ამერიკელების 60%. ინტერნეტ-მომხმარებლებში ისეთი მოწონება დაიმსახურა ამ ფოტომ, რომ ლარას უმალ გამოუჩნდნენ მიმდევრები. თემები, რომელსაც ისინი ირჩევენ, მრავალფეროვანია: გენმოდიფიცირებული პროდუქტიდან ატომურ ენერგეტიკამდე და სამყაროს ასაკამდე. ამ კამპანიას არა მხოლოდ იტალიელები, არამედ აპენინებზე მცხოვრები უცხოელებიც შეუერთდნენ.

ტელევიზორი, რომელიც სურნელს ეადმოსცემს



აშშ-ში, ქალაქ ორლანდოში გამართულ კონფერენციაზე იაპონელმა გამომგონებლებმა ახალი ტელევიზორი წარმოადგინეს არომატული თხევადკრისტალური ეკრანით, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ახალმოკრეფილი ხილისა თუ ფინჯანი ცხელი ყავის სურნელი შეიგრძნოს. სპეციალისტებმა ამომავალი მზის ქვეყნიდან განახორციელეს მარკეტოლოგების იდეა — მათ პროდუქტისა და პარფიუმის სურნელი გადმოსცეს ეკრანის მეშვეობით, რითაც პოტენციურ კლიენტებს მიიზიდავენ. მეცნიერებმა გამოიყენეს საჰაერო ნაკადების ტექნოლოგია, რომელიც მომხმარებლისკენაა მიმართული. გახურების დროს სპეციალური გრანულები ორთქლდება და ჰაერის ნაკადში ხვდება, რომელსაც ეკრანის ყოველ კუთხეში ჩამონტაჟებული ვენტილატორები ქმნის. არომატული ნაკადის მიმართულების ვარირება შეიძლება იმის მიხედვით, სად იქნება ტელევიზორი, — აცხადებენ გამოგონების ავტორები. თუმცა, ისინი სიახლის მოყვარულებს ჯერ ვერაფრით აიმედებენ, რადგან უცნობია, როდის გამოვა გაყიდვაში „სურნელოვანი“ ტელევიზორები. საქმე ისაა, რომ სწავლულებმა ჯერჯერობით მხოლოდ ერთი სურნელის გაფრქვევა შეძლეს სპეციალური გრანულების გამოცვლის გარეშე. შემდგომი ნაბიჯი კი კარტრიჯების შექმნაა, რომლშიც რამდენიმე სახის არომატიზატორს მოათავსებენ.

სუდოკუ

ადვილი

1		9			5		6	
		6	1			2		
		2		7				
7				9	4			2
	9						1	
4			5	1				9
				5		9		
		8			9	1		
	1		2			3		4

სტანდარტი

	7				1	9		
2				5				
9	3							8
1			4			8		
		4	6	1	5	2		
		2			9			6
6							8	7
				6				9
		7	1				4	

რთული

							8	
	9	1	6					
4			3			2	7	
6	5			8				
			9		6			
				7			3	2
	4	2			9			7
					2	1	6	
	1							

ექსპერტი

			5		9	7	1	
					1		3	8
		9		8	7			5
2		1					7	
9		4				1		2
	3					5		9
1			8	9		3		
8	2		1					
	9	6	3		4			

პიცერიაში „ქვეცნობიერი" მენიუ მოქმედებს

მსოფლიოში უდიდესი, Pizza Hut-ის პიცერიების ქსელში ახალი მაღალტექნოლოგიური მენიუ-პლანშეტი ამოქმედდა, რომელიც დაწესებულების სტუმრებს საშუალებას აძლევს, შეკვეთა მზერით გააკეთონ. მობილური ტელეფონის დამატების Subconscious menu (ქვეცნობიერი მენიუ) საშუალებით, მომხმარებელი მენიუ-დისპლეიზე პიცის სასურველ სახეობაზე — მის შემადგენელ ამა თუ იმ ინგრედიენტზე რამდენმე წამით შეაჩერებს მზერას. სულ ხელმისაწვდომი 20 სახეობის შიგთავსია, რომლისგანაც პიცის 4896 კომბინაციის აწყობაა შესაძლებელი. „ქვეცნობიერი მენიუ" თვალთვალის ტექნოლოგიაზეა დაფუძნებული, რომელიც შვეიცარულმა კომპანიამ Tobii შექმნა. ამ პროგრამის მეშვეობით, კლიენტის სასურველი კვების პროდუქტის განსაზღვრა 2,5 წამშია შესაძლებელი. როგორც ამბობენ, შეკვეთათა 98%-ში კომპიუტერი სწორ დასკვნებს აკეთებს. ახალი ტექნოლოგია პიცერიაში ჯერჯერობით ტესტირებას გადის. როდის მოხდება მისი სამუშაო პროცესში დანერგვა, არ არის ცნობილი.

„მაკდონალდსი" ხელოვნურ ხორცს გამოიყენებს

ამ დღეებში კომპანია „მაკდონალდსის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ქსელის მენიუში ქათმის ხორცს გამოიყენებს, რომელიც ხელოვნურადაა შექმნილი. თავიდან ამ არანატურალურ პროდუქტს მხოლოდ ერთ ფასტფუდში შესთავაზებენ კლიენტებს აშშ-ში, ხოლო თუ პროდუქტი მოწონებას დაიმსახურებს (ექსპერტების მტკიცებით, ასეც მოხდება), მაშინ სქელის ყველა რესტორანი მსოფლიოში გადავა ხელოვნურად შექმნილ ხორცსა და სხვა პროდუქტზე. როგორც ამბობენ, ქათმის არანატურალური ხორცის გემოს ნატურალურისგან ვერაფრით განასხვავებთ. მენიუში არსებული McNuggets-თვის ხორცს ნიუ-ჯერსის სპეციალურ გენური ინჟინერიის ლაბორატორიაში დაამზადებენ. კომპანიის პრეზიდენტის, დონ ტომსონის განცხადებით, დედამიწაზე კლიმატის ცვლილებასა და გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით, აზრი არ აქვს ცოცხალი წიწილების გაზრდას, გაცილებით ნაკლები ხარჯი სჭირდება ინდენტური ხორცის შექმნას ლაბორატორიაში.

დაკონსერვებულ მწერებს ჰყიდიან

დღეისთვის ჩვენს პლანეტაზე დაახლოებით 2 მილიონი ადამიანის რაციონში შედის ხოჭო, კალია, ჭია, მატლი, მორიელი თუ სხვა მწერი. ევროპელებისთვის ეს საკვები დიდი ხნის განმავლობაში ეგზოტიკა იყო, ვიდრე სწავლულები ერთხმად არ ალაპარაკდნენ უახლოეს მომავალში მწერებით ხორცის ჩანაცვლებაზე. ჰოლანდიის მთავრობამ უკვე გამოყო საკმაოდ სოლიდური თანხა პროგრამისთვის, რომელმაც ევროპელების რაციონში მწერების დამკვიდრებაზე უნდა იზრუნოს. დიდ ბრიტანეთში კი ისინი უკვე დაკონსერვებული იყიდება. 25 გირვანქა სტერლინგად ნისლიან ალბიონზე შეგიძლიათ შეიძინოთ მცირე ზომის ქილა, რომელშიც კალიებია არაჟანში, ან მორიელი წყალმცენარეებით, ბამბუკის მატლები, ჭიანჭველები, ნაკელის ხოჭოები სხვადასხვა სოუსით. ახალი პროდუქტის რეკლამირება ერთ-ერთ ბრიტანულ არხზე მოხდა, სადაც გადაცემის მონაწილეებმა დააგემოვნეს და საკმაოდ მაღალი შეფასებაც მისცეს. ექსპერტთა მოსაზრებით, შესაძლოა, უკვე რამდენიმე წელიწადში მწერები ჩვეული პროდუქტი გახდეს „ბებერი კონტინენტის" მკვიდრთათვის.

სახლი მგრძნობიარე ადამიანებისთვის

ციურიხის შემოგარენში ახალ საცხოვრებელ სახლში უმკაცრესი და დღევანდელობისთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელი წესები შემოიღეს — იქ ის ოჯახები იცხოვრებენ, რომლის წევრებიც მეტად მგრძნობიარენი არიან მობილური ტელეფონის, სუნამოს ან სიგარეტის კვამლის მიმართ. ამის გამო ახალ შენობაში აკრძალულია მოწევა, პარფიუმის გამოყენება და მობილურზე საუბარი. ბავშვობიდან ვიტანჯებოდი. უსადენო ტექნიკასთან კონტაქტისას, სიგარეტისა თუ სუნამოს სუნზე გამუდმებით სისუსტეს ვგრძნობდი, თავბრუ მეხვეოდა დს სუნთქვა მიჭირდა. ამ ბინის შეძენის შემდეგ კი ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა, — ამბობს ჯანსაღი ცხოვრების ფონდის მეთაური, 59 წლის კრისტიან შიფერლე. ის და სახლის სხვა ბინადარნი ძლიერი ქიმიური მგრძნობელობით (Multiple Chemical Sensitivity) იტანჯებიან — ეს ქრონიკული მდგომარეობაა, რომელიც ამ მომენტისთვის არ არის ფართოდ აღიარებული სამედიცინო საზოგადოების მიერ. რასაკვირველია, ახალ შენობაში ცხოვრება ამ ადამიანებს ვერ გამოაჯანმრთელებს, მაგრამ მათ ცხოვრებას უფრო კომფორტულს გახდის და პრობლემებს მინიმუმამდე შეამცირებს. „სამკურნალო" სახლის აშენების ინიციატორთა შეფასებით, დღეისთვის შვეიცარიაში დაახლოებით 5 ათასი ადამიანია, ვისაც ქიმიური ზემგრძნობელობა აწუხებს.

1.ტალახით სამკურნალო კურორტი გურჯაანში
2. ყველიანი „ნამცხვარი“
3.თბილისის ერთ-ერთი უბანი
4. თვით-მფრინავების სადგომი
5. გეო-დეზიური ხელსაწყო
6. ფუჭი, უმედეგო
7. გერმანული ავტომარკა
8. სამოთხის ბაღი
9. კაკლის გა-რეთა მაგარი გარსი
10. ცუდი ამინდი
11. მამალი ცხენი
12.ავსტრიის ერთ-ერთი რეგიონი
13.მაღალი ძელი გემ-ზე იალ-ქნისათვის
14. „მე, ბებია, ილიკო და ...“
15.უძველესი ხალხური თქმულება
16. თანაბარი ანგარიში ფეხბურთში
17. ცნობილი ბრიტანული ჯგუფი
18. დიდი ამერიკელი გამომგონე-ბელი
19. ბრა-ზილიელი მწერალი
20. წყნარი ამინდი ზღვაზე
21. დაბა სამხრეთ საქა-რთველოში
22. დიდი თევზსაჭერი ბადე
23. ხე-ლოვნური საერთაშორი-სო ენა
24.ყველაზე პრესტიჟული მუსიკალური პრემია
25. სუბ-ტროპიკული ხილი
26. სოფელი ონის რაიონში
27. მაგარი ალკოჰოლური სასმელი
28.ბრეგვაძეე-ბის საყვარელი მწვანილი „შერეკილებში“
29. ძაღლის იაპონური ჯიში
30.ცომის გუნდების გასა-ბრტყელებელი ფიცარი
31. ხარებას ძმაკაცი
32. უკრაინუ-ლი ხალხური ცეკვა
33. ადამიანის ბიოველი
34. ნაოსნო-ბის სახელ-მძღვანელო
35. საჭმლის მომნელებელი ორგანო
36. განიერი ხერხი
37. თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა ანდერსენის ზღაპარში
38. შრი-ლანკას უდიდესი ქალაქი
39. დონ-ჟუნის მსახ-ური მოცარტის ოპერაში
40. განის დედაქალაქი
41. ვიოლინოს მსგავსი საკრავი
42. გვარის, ტომის მამამთავარი
43.ხემცენა-რე თეთრი სურნელოვანი ყვავილებით
44. ძიუდოს დამფუძნე-ბელი
45. მონღოლი თავადი
46.ფესვის ამოღების ნიშანი მათემატიკაში
47. საფ-რანგეთის საკურორტო ქალაქი
48.ქართული წარმოშობის რუსი ბარდი ... ოკუჯავა
49. ... ნატუტარი „ყვარყვარე თუთაბერში“
50. ურიელ აკოსტას სატრფო
51. იაპონურ-ჩინური შაში
52. საფქ-ვილე ყუთი წისქვილში
53. ოპერა „ლელას“ ავტორი
54.მდინარე ვოლგის სახ-ელწოდება შუა საუკუნეებში
55. სამცხის მმართველთა ტიტული
56. ფულის გათამაშება ბილეთებით
57. „საა-რჩევნო ყუთი“
58. საყანედ გაკა-ფული ტყე
59. სტალინის პოეტური ფსევდონიმი
60. ჯუზეპე ვერ-დის ოპერა
61. მორის მოკლე და მსხვილი ნაჭერი
62. პატარა ჩანთოსანი დათვი
63. სვეტები-ანი გალერეა
64. ზნიშ-ვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
65. ილია ჭავჭავაძის მეუღლის სახელი
66. უბე-დურების საერთაშორი-სო სიგნალი
67. ბავშვის შესაშინებელი საფრთხობელა
68.ამერიკ. მომღერალი ... ფიცჯერალდი
69. ქალაქი ჩეხეთში
70. შვიდის მომდევნო რიცხვი
71. აშშ-ის ქალაქი ...-ფრანცისკო
72. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება
73. გადამდ-ნარი კარაქი
74. კათოლიკ-ეთა მღვდელი პოლონეთში
75. კომიკოსი ... დე ფიუნესი
76. ტბა აფხა-ზეთში
77. ამერიკელი ფსიქოლოგი ... კარნეგი
78. ცნობილი ესპანელი ფეხბურთელი
79. შიშველი სხეული ფერწერაში
80. ინგლი-სური სქელი ლუდი
81. სკუმ-ბრიასებრთა ოჯახის თევზი
82. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
83. გა-დაშენებული მორბენალი ფრინველი
84. ღვთისმშობ-ელი მარიამის დედა
85.იაპონური კლასიკური თეატრის სახეობა

სამხედროებს გახდომას აიძულებენ

ბოლივიაში დაიწყეს იმ პოლიციელებისა და სამხედრო მოსამსახურეების რეგისტრაცია, რომელთაც ზედმეტი წონის პრობლემა აქვთ. როგორც მედია იუწყება, აღნიშნული ღონისძიება პრეზიდენტ ევო მორალესის უკმაყოფილებას უკავშირდება, რომელმაც საკუთარი ქვეშევრდომი სამხედროებისა და პოლიციელების ცუდი ფიზიკური ფორმა აღნიშნა. ყველა ჭარბწონიან თანამშრომელს, შემდეგი ატესტაციისთვის, უკვე კარგ ფორმაში ყოფნა ევალება. გარდა ამისა, ასეთ მსუქან მოსამსახურეებს აუკრძალეს ფორმის ტარება, თუკი მათი ზომის არ იქნება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.